The IR-spectra of the studied compounds were recorded on a Thermo Nicolet Avator spectrometer within the range of $400\text{-}4000 \text{ cm}^{-1}$, in KBr tablets. Specific conductivities of the compounds in diluted solutions were measured on a conductometer of an impulse mark at the accuracy of 1.5% (25°C). Constancy of the temperature was maintained with the accuracy of 0.5°C . The value of molar electrical conductivity (μ) was calculated by the formula: $\mu=\chi/c$ ($\text{om}^{-1} \cdot \text{cm}^2 \cdot \text{mol}^{-1}$), where χ and c are specific conductance and the concentration of the solution, respectively,.

The required solvents – ethanol and dimethylformamide were purified and dried according to the procedure described in [11].

Arsenic was determined quantitatively by Evins method [12], iodine – by mercurimetry [13], nitrogen – by Duma's method [14], cobalt and manganese – by complexonometry [15].

Synthesis of the iodmethylenetripropylarsonium tetra-iso-cyanatocobaltate(II). The aqueous solution of 1.0 g cobalt(II) chloride hexahydrate ($\text{CoCl}_2 \cdot 6\text{H}_2\text{O}$) and 2.1 g (10% excess amount) potassium cyanate were mixed with the saturated alcoholic solution of 3.6 g iodmethylenetripropylarsonium iodide in 100 ml Erlenmeyer flask. The content of the flask changed color at once – pale lilac color turned into dark blue. In addition, the solution became turbid, due to the formation of the precipitate. In order to obtain complete crystal shape of the product, the mother solution was allowed to stand for 3 days. Then the precipitate was filtrated, rinsed with absolute ethanol and water and dried in vacuo containing phosphorus pentoxide and paraffin. As a result, 3.2 g product was obtained, the practical yield of which constitutes 94.1 %.

Synthesis of iodmethylenetripropylarsonium tetra-iso-tiocyanatomanganate(II). The aqueous solution of 0.11 g manganese (II) chloride tetrahydrate ($\text{MnCl}_2 \cdot 4\text{H}_2\text{O}$) and 0.25 g (10% excess amount) ammonium rodanide (NH_4SCN) were mixed with the saturated alcoholic solution of

0.53 g iodmethylenetripropylarsonium iodide in 100 ml Erlenmeyer flask. In order to obtain complete crystal shape of the product, the mother solution was allowed to stand for 3 days. Then the precipitate was filtrated, rinsed with absolute ethanol and water and dried in vacuo containing phosphorus pentoxide and paraffin. As a result, 0.51 g product was obtained, the practical yield of which constitutes 93.0%.




Figure 2. IR Spectrum of Iodmethylenetriphenylarsonium tetra-N-tiocyanatomanganate (II)




Figure 3. IR Spectrum of
Iodmethylenetri-iso-propylarsonium tetra-N-tiocyanatomanganate (II).

The bioactivity of the obtained compounds has been studied. It was shown that they are characterized with the active bactericide properties. Some of them may be used against phytopathogenic microorganisms.

Preliminary investigations show that the synthesized arsenic-manganese complexes, plotted on the several functional polymer matrixes, may serve as a basis to prepare new bioactive materials with regular duration of the action: antibiocorrosion covering of multifunctional purpose, foamed polyurethane materials and various dipping compounds.

References:

1. Cotton F. Albert, Geoffrey Wilkinson, Paul L. Gaus. Basic Inorganic Chemistry. New York, Prisbane, Toronto, Singapore. John Wiley and Sons, Inc. 1995.
2. Chemistry of Pseudo-halides. Kiev. "Vishcha shkola", 1981, p.146.
3. Gringberg A. A. An Introduction to the Chemistry of Comlex Compounds. L.: „Khimia“.
4. Gegenava A.G. Achievements of Veterinar Helmintology in Practice. Tbilisi.
5. Gigauri R.D., Kikalishvili M.A., Kutsia L.I, Injia M.A. Russian Journal of General Chemistry. 2005.
6. Gigauri R.D., Arabuli L.G., Rusia M.Sh., Machaidze Z.I. Russian Journal of General Chemistry. 2005.
7. Gigauri R.D., Arabuli L.G., Gigauri G.I., Gurgenidze N.I., Injia M.A. Russian Journal of General Chemistry. 2006.
8. Minwitz Rolf, Claudia Hirsch and Thorsten Barends. European Journal of Inorganic Chemistry. 1999.
9. Nakamoto K. IR and Raman Spectra of Inorganic and Coordination Compounds, 1995. Moscow, "Mir".
10. Kukuskin I.I. Chemistry of Coordination Compounds. M.: Mir, 1985, p. 8.
11. Loginov N.I., Voskresenski L.G., Solodkin I.C. Analytical Chemistry. Moscow, "Prosveshchenie".
12. Freidlina R.Kh. Synthetic Methods in the Field of Organoarsenic Compounds.
13. M.-L.:IZD AH GSSR, 1945.
14. Gigauri R.D., Arabuli L.G., Rusia M.Sh., Kikalishvili M.A. Georgia Chemical Journal. 2002.
15. Guben-Veil. Organic Chemistry Methods. Moscow 1967. Khimia.
16. Umand F., Iansen A.,et al. Complexes in Analytical Chemistry. Moscow "Mir", 1975.

Table 1.

Some physico-chemical characteristics of
iodmethylenetrialkyl(aryl)arsoniumtetra-izo-cyanatocobaltates(II)

№	R	R'	t _{melt} , °C	μ	Color	Found, %				Calculated, %			
						As	Co	I	N	As	Co	I	N
1.	C ₃ H ₇	C ₃ H ₇	176-177	142.2	yellow	16.60	6.11	27.33	5.90	16.35	6.42	27.67	6.11
2.	i-C ₃ H ₇	i-C ₃ H ₇	181-182	139.4	colorless	16.03	6.78	27.90	6.37	16.35	6.42	27.67	6.11
3.	C ₄ H ₉	C ₄ H ₉	140-141	136.8	colorless	15.33	5.79	25.01	5.47	14.98	5.88	25.35	5.59
4.	i-C ₄ H ₉	i-C ₄ H ₉	189-190	136.4	violet	15.41	5.61	24.89	5.41	14.98	5.88	25.35	5.59
5.	C ₄ H ₉	C ₆ H ₅	152-153	134.1	violet	14.02	6.07	24.14	5.52	14.41	5.66	24.38	5.38
6.	C ₅ H ₁₁	C ₆ H ₅	132-133	133.0	violet	13.92	5.63	23.56	4.92	13.68	5.37	23.13	5.10
7.	C ₆ H ₅	C ₆ H ₅	197-198	129.7	brown	13.77	5.60	23.20	4.74	13.38	5.26	22.64	4.99

Table 2.

Some physico-chemical characteristics of
iodmethylenetrialkyl(aryl)arsoniumtetra-izo-tiocyanatomanganates(II)

№	R	R'	t _{melt} , °C	μ	Color	Found, %				Calculated, %			
						As	Mn	I	N	As	Mn	I	N
1.	C ₃ H ₇	C ₃ H ₇	148-149	161.5	yellow	15.01	5.39	26.31	5.50	15.35	5.63	25.99	5.73
2.	i-C ₃ H ₇	i-C ₃ H ₇	114-115	161.3	green	15.80	5.87	25.53	6.02	15.35	5.63	25.99	5.73
3.	C ₄ H ₉	C ₄ H ₉	139-140	160.0	yellow	13.89	5.26	24.39	5.03	14.14	5.18	23.94	5.28
4.	i-C ₄ H ₉	i-C ₄ H ₉	193-194	158.6	colorless	14.50	4.90	23.61	5.60	14.14	5.18	23.94	5.28
5.	C ₄ H ₉	C ₆ H ₅	98-99	156.3	brown	13.18	4.56	23.50	5.35	13.68	4.99	23.07	4.09
6.	C ₅ H ₁₁	C ₆ H ₅	154-155	152.4	grey	13.42	4.47	21.90	4.47	13.19	4.84	22.34	4.93
7.	C ₆ H ₅	C ₆ H ₅	160-161	151.1	yellow	12.44	4.34	21.18	4.51	12.70	4.66	21.51	4.74

**იოდმეთილონტრიალკოლონიუმის(II) არსონიუმის(II)
იოდმეთილონტრიალკოლონიუმის(II)
თიოციანატონან ურთიერთების პროცესის შესახებ**

ლ. არაბული, ნ. ლეკიძვილი, მ. რუსია,

ქ. გიორგაძე, კ. სულაძერიძე, რ. გიგაური[†],

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე

შესწავლილია კობალტის(II) ციანატისა და მანგანუმის(II) თიოციანატის ურთიერთების თანაცვლებული არსონიუმის იოდიდებთან სპირტ-ნჴალხსნარებში. რეაქციის პროდუქტების, კობალტ- და მანგანუმშემცველი აციდოკომპლექსების შედგენილობა და აღნაგობა დადგენილია ქიმიური ანალიზით, იწ სპექტროსკოპიითა და მოლური ელექტროგამტარობით. ნაჩვენებია, რომ ორივე შემთხვევაში მიიღება კომპლექსები N-კოორდინირებული აციდოჯგუფებით. აღნერილია ახალი კომპლექსების სინთეზის მსვლელობა.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
Proceedings of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
363, 2010

ადამანტან-1-კარბომეზავის ჰიდრაზიდის და აცეტონის 1-ადამან-
ტოილ ჰიდრაზონის, როგორც d-მეტალების კომპლექსები
ნართების ლიგანდების კვანტულ-ეიმიური გამოკვლევა

ნ. ლეკიშვილი¹, ზ. ფაჩულია¹, ხ. ბარბაქაძე¹, ქ. გიორგაძე¹, გ. ცინცაძე²
¹ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
²საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ჩატარებულია ადამანტან-1-კარბონმჟავის ჰიდრაზიდის და აცეტონის 1-ადამან-ტოილ ჰიდრაზონის, როგორც ორგანული ლიგანდების და ზოგიერთი d-მეტალის მარილების ბაზაზე ახალი კომპლექსების მიზნობრივი სინთეზი. მოდელური სისტემის გამოყენებით ნახევრადემპირიული კვანტულ-ქიმიური AM1 მეთოდით გათვლილია ადამანტანშემცველი ჰიდრაზიდისა და ჰიდრაზონის მოლეკულებში ენერგეტიკული და გეომეტრიული მახასიათებლები, ატომებზე ეფექტური მუხტები და ელექტრონული სიმკვრივე. გამოვლენილია ორი პოტენციალურად ელექტრონოდონორული ატომი – კარბონილის ჯგუფის უანგბადატომი და აზოტის ატომი, რის გამოც ისინი გვევლინებიან, როგორც ბიდენტატური ლიგანდები და d-მეტალებთან წარმოქმნიან კომპლექსების ხუთწევრიანი ციკლის სახით.

ლიტერატურიდან [1-5] ცნობილია, რომ ადამანტანის ზოგიერთი აზოტშემცველი წარმოებული, კერძოდ, 4-(1-ადამანტილ)ანილინი, ადამანტანის რიგის ამინომჟავების ნაწარმები, ადამანტან-1-კარბონმჟავის ჰიდრაზიდი ხასიათდებიან ფართო სპექტრის ფარმაკოლოგიური აქტიურობით, მათ შორის იჩენებ ცოფის ვირუსის და ადამიანის იმუნოდეფიციტური ვირუსის დამთრგუნველ მოქმედებას. ამავე დროს საქართველოში ინტენსიურად ვითარდება კარბონმჟავათა ჰიდრაზიდების და ჰიდრაზონების ბაზაზე მიღებული კომპლექსების გამოკვლევა, რომლებიც გამოსავალ ორგანულ ლიგანდებთან შედარებით ხასიათდებიან მაღალი სპეციფიკური ბიოლოგიური აქტიურობით [6-9].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პერსპექტიულად მივიჩნიეთ ადამანტან-1-კარბონმჟავის ჰიდრაზიდის და აცეტონის 1-ადამანტოილ ჰიდრაზონის, როგორც ორგანული ლიგანდების და ზოგიერთი d-მეტალის მარილების ბაზაზე ახალი კომპლექსების ნაერთების მიზნობრივი სინთეზი როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით. ელექტრონოდონორული და ფარმაკოლოგიული ადამანტანის რადიკალის გავლენის შეფასება მიღებული კომპლექსების ნაერთების რეაქციისუნარიანობასა და სპეციფიკურ ბიოლოგიურ აქტიურობაზე.


ჩვენს ამოცანას წარმოადგენდა ადამანტან-1-კარბონმჟავას ჰიდრაზიდისა და

აცეტონის 1-ადამანტოილ ჰიდრაზინის ბაზაზე ზოგიერთი d-მეტალის კოორდინაციული ნაერთების სინთეზის მეთოდების დამუშავება.

კობალტის (II), ნიკელის (II), სპილენდის (II) და კადმიუმის (II) ზოგიერთი მარილის კოორდინაციულ ნაერთთა სინთეზი განვახორციელეთ ორ ეტაპად:

1. ორგანული ლიგანდის სინთეზი:


ადამანტან-1-კარბონმჟავის ჰიდრაზიდი მიღებულ იქნა ადამანტან-1-კარბონმჟავის ეთერიფიკით კონცენტრირებული გოგირდმჟავას თანაობისას და მიღებული ადამანტან-1-კარბონმჟავის ეთილის ეთერის ჰიდრაზინოლიზით დიეთილენგლიკოლის არეში:



სქემა 1

2. ორგანულ ლიგანდთან d-მეტალთა მარილების ურთიერთქმედება:

ა) ადამანტან-1-კარბონმჟავის ჰიდრაზიდისა (L) და d-მეტალების მარილების (MX_n) ურთიერთქმედებას ვატარებდით ეთანოლ-ნიკალსნარში წყლიან აბაზანაზე 5-6 საათის განმავლობაში, დუღილის პირობებში (მოლური თანაფარდობა MX_n : L – 1:1 და 1:3):




სადაც, $M = Cu, Cd, Co, Ni; X = Cl^-, SO_4^{2-}, NO_3^-, CH_3COO^-;$

$n = 1, 2; m = 2, 3; k = 0, 1, 2.$

სქემა 2

ბ) ადამანტან-1-კარბონმჟავის ჰიდრაზიდისა (L) და d-მეტალების მარილების (MX_n) ურთიერთქმედებას ვატარებდით აცეტონ-ნიკალსნარში წყლიან აბაზანაზე 5-6 საათის განმავლობაში, დუღილის პირობებში (მოლური თანაფარდობა MX_n : L – 1:3):



სადაც, $M = Co, Ni; X = Cl^-, SO_4^{2-}, NO_3^-; n = 1, 2; m = 2, k = 0, 1, 2.$


სქემა 3

დასინთეზებული კოორდინაციული ნაერთები წარმოადგენენ სხვადასხვა ფერის

წვრილკრისტალურ ნივთიერებებს. მიღებული ნაერთების აგებულება დადგენილ იქნა ელემენტური ანალიზის, ინფრანითელი სპექტროსკოპიული და თერმოგრავი-მეტრიული ანალიზის მეთოდებით. მიღებულ კონდინაციულ ნაერთებში განსაზღვრულია ასევე მოლური ელექტროგამტარობა.

ინფრანითელი სპექტრები გადაღებულია ხელსაწყოზე Specord IR-75, ვაზელინის ზეთში და ჰექსაელორბუჟთადიენში, სპექტროფოტომეტრზე FT-IR "THERMO NICOLET", KBr-ის მონოკრისტალსა და Ge-ის ფირფიტებში და Spectrum BX FT-IR Perkin Elmer ($400\text{-}4000\text{cm}^{-1}$) – ვაზელინის ზეთში. მეტალის შემცველობა განსაზღვრულია ატომურ-აბსორბციულ სპექტროფოტომეტრზე PerkinElmer 603.

ჩავატარეთ საწყისი ლიგანდების ელექტრონული სტრუქტურისა და კომპლექს-ნარმოქმნის უნარის კვლევა ნახევრადემპირიული კვანტურ-ქიმიური მეთოდით AM1 (Austin Model 1) [CS MOPAC-ის (Chem 3D Ultra-version 8.03) საშუალებით] [10, 11]. განვსაზღვრეთ მათი ენერგეტიკული და გეომეტრიული მახასიათებლები, ატომებზე ეფექტური მუხტები და ელექტრონული დასახლება ატომურ ორბიტალებზე (ელექტრონული სიმკვრივე).



ნახაზი 1. ადამანტან-1-კარბონმჟავას ჰიდრაზიდის 3D მოდელი

ადამანტან-1-კარბონმჟავას ჰიდრაზიდის მოლეკულაში (ნახ.1) ატომთაშორისი მანძილების სიდიდეთა (ცხრილი 1) ანალიზი გვიჩვენებს, რომ C-C ბმის სიგრძის მნიშვნელობები (R_{ij}) ადამანტანის ბირთვში ($C_{10}H_{15}\bullet$) ძევს $1.522\text{-}1.542$ Å-ის ფარგლებში, რაც მიუთითებს ნახშირბადის ატომების ($C_1\text{-}C_{10}$) sp^3 ჰიბრიდიზებულ მდგომარეობაზე. რაც შეეხება ნახშირბადის C_{11} ატომს, მეზობელ ატომებთან ბმის სიგრძეები და სავალენტო კუთხეები ($\angle C_1\text{-}C_{11}\text{-}O_{12} = 121.1^\circ$, $\angle C_1\text{-}C_{11}\text{-}N_{13} = 123.6^\circ$ და $\angle O_{12}\text{-}C_{11}\text{-}N_{13} = 115.3^\circ$) მიუთითებს მის ძირითადად sp^2 ჰიბრიდიზებულ მდგომარეობაზე. უანგბადის ატომი O_{12} , როგორც მისი სავალენტო კუთხეების მნიშვნელობები გვიჩვენებს, იმყოფება sp^2 ჰიბრიდიზებულ მდგომარეობაში. აზოტის ატომები სავალენტო კუთხეების მნიშვნელობების ($\angle C_{11}\text{-}N_{13}\text{-}N_{14} = 131.6^\circ$, $\angle C_{11}\text{-}N_{13}\text{-}H_{30} = 116.1^\circ$, $\angle N_{14}\text{-}N_{13}\text{-}H_{30} = 112.3^\circ$ და $\angle N_{13}\text{-}N_{14}\text{-}H_{31} = 110.4^\circ$, $\angle N_{13}\text{-}N_{14}\text{-}H_{32} = 110.0^\circ$, $\angle H_{31}\text{-}N_{14}\text{-}H_{32} = 106.8^\circ$) მიხედვით იმყოფებიან sp^2 (N_{13}) და sp^3 (N_{14}) ჰიბრიდიზებულ მდგომარეობაში.

ატომებზე ფარდობითი მუხტების სიდიდეთა (ცხრილი 2) ანალიზი გვიჩვენებს,

რომ პოტენციალურად ელექტრონოდონორულ ატომებს წარმოადგენენ O_{12} ($q_{12} = -0.3643$), N_{13} ($q_{13} = -0.3492$) და N_{14} ($q_{14} = -0.1787$). ატომთა ორბიტალების ელექტრონული დასახლება (ცხრილი 3) გვიჩვენებს, რომ უანგბადის ატომის ერთ-ერთი ელექტრონული ნყვილი იმყოფება $2s$ ორბიტალზე (ელექტრონული დასახლება 1.91695-ია) და მას შეუძლია მეტალის ატომთან ს-ბმის წარმოქმნა დონორულ-აქცეპტორული მექანიზმით. მიუხედავად N_{13} ატომის უფრო მაღალი უარყოფითი ფარდობითი მუხტისა, ვიდრე აქვს N_{14} ატომს, მას არ შეუძლია მეტალის ატომთან ს-ბმის წარმოქმნა დონორულ-აქცეპტორული მექანიზმით, რადგანაც ელექტრონული ნყვილი იმყოფება ჰიბრიდზაკის გარეშე დარჩენილ $2P_z$ ორბიტალზე (ელექტრონული დასახლება 1.76977-ია). რაც შეეხება N_{14} ატომს, ელექტრონული ნყვილი იმყოფება ერთ-ერთ ჰიბრიდულ sp^3 ორბიტალზე, რომელზეც ელექტრონული დასახლება 1.62247-ია და ამგვარად, მიდრეკილია წარმოქმნას მეტალის ატომთან ს-ბმა დონორულ-აქცეპტორული მექანიზმით.

ცხრილი 1.

ატომთაშორისი მანძილები (R_{ij})

ატომები, ij	R_{ij} , Å	ატომები, ij	R_{ij} , Å	ატომები, ij	R_{ij} , Å
C ₁ -C ₂	1.542	C ₄ -H ₁₉	1.120	C ₉ -C ₁₀	1.526
C ₁ -C ₆	1.532	C ₅ -C ₆	1.526	C ₉ -H ₂₇	1.120
C ₁ -C ₇	1.530	C ₅ -C ₉	1.525	C ₉ -H ₂₈	1.120
C ₁ -C ₁₁	1.527	C ₅ -H ₂₀	1.123	C ₁₀ -H ₂₉	1.123
C ₂ -C ₃	1.522	C ₆ -H ₂₁	1.118	C ₁₁ -O ₁₂	1.248
C ₂ -H ₁₅	1.121	C ₆ -H ₂₂	1.121	C ₁₁ -N ₁₃	1.392
C ₂ -H ₁₆	1.120	C ₇ -C ₁₀	1.527	N ₁₃ -N ₁₄	1.349
C ₃ -C ₄	1.525	C ₇ -H ₂₃	1.118	N ₁₃ -H ₃₀	1.005
C ₃ -C ₈	1.525	C ₇ -H ₂₄	1.120	N ₁₄ -H ₃₁	1.014
C ₃ -H ₁₇	1.123	C ₈ -C ₁₀	1.524	N ₁₄ -H ₃₂	1.016
C ₄ -C ₅	1.524	C ₈ -H ₂₅	1.120		
C ₄ -H ₁₈	1.120	C ₈ -H ₂₆	1.120		

ცხრილი 2.

ატომთა ფარდობითი მუხტი (q_i) და ელექტრონული სიმკვრივე [$q_i(d)$]


ატომი, i	ფარდობითი მუხტი, q_i	ელექტრონული სიმკვრივე, $q_i(d)$	ატომი, i	ფარდობითი მუხტი, q_i	ელექტრონული სიმკვრივე, $q_i(d)$
C ₁	-0.0586	4.0586	H ₁₇	0.0958	0.9042
C ₂	-0.1378	4.1378	H ₁₈	0.0854	0.9146
C ₃	-0.1039	4.1039	H ₁₉	0.0831	0.9169
C ₄	-0.1502	4.1502	H ₂₀	0.0927	0.9073
C ₅	-0.1012	4.1012	H ₂₁	0.0730	0.9270
C ₆	-0.1426	4.1426	H ₂₂	0.0972	0.9028
C ₇	-0.1432	4.1432	H ₂₃	0.0687	0.9313
C ₈	-0.1503	4.1503	H ₂₄	0.0949	0.9051
C ₉	-0.1515	4.1515	H ₂₅	0.0847	0.9153
C ₁₀	-0.1010	4.1010	H ₂₆	0.0834	0.9166
C ₁₁	0.2876	3.7124	H ₂₇	0.0863	0.9137
O ₁₂	-0.3643	6.3643	H ₂₈	0.0774	0.9226
N ₁₃	-0.3492	5.3492	H ₂₉	0.0919	0.9081
N ₁₄	-0.1787	5.1787	H ₃₀	0.2578	0.7422
H ₁₅	0.1037	0.8963	H ₃₁	0.1376	0.8624
H ₁₆	0.0985	0.9015	H ₃₂	0.1326	0.8674

ცხრილი 3.

ატომთა ორბიტალების ელექტრონული დასახლება

ატომი	2s	2p _x	2p _y	2p _z	ატომი	1s
C ₁	1.21010	0.98773	0.89404	0.96671	H ₁₅	0.89632
C ₂	1.22452	0.90642	0.95956	1.04732	H ₁₆	0.90155
C ₃	1.21162	0.99956	0.94692	0.94576	H ₁₇	0.90419
C ₄	1.22229	0.94337	1.00636	0.97817	H ₁₈	0.91458
C ₅	1.21223	0.96027	0.94784	0.98084	H ₁₉	0.91685
C ₆	1.22350	0.99516	0.95812	0.96584	H ₂₀	0.90730
C ₇	1.22310	0.99273	0.96067	0.96668	H ₂₁	0.92700
C ₈	1.22209	0.94313	1.00697	0.97809	H ₂₂	0.90283
C ₉	1.22271	0.99956	0.98992	0.93927	H ₂₃	0.93126
C ₁₀	1.21230	0.96058	0.94670	0.98142	H ₂₄	0.90511
C ₁₁	1.24005	0.81379	0.91192	0.74659	H ₂₅	0.91533
O ₁₂	1.91695	1.51656	1.46034	1.47045	H ₂₆	0.91660
N ₁₃	1.47071	1.00026	1.10848	1.76977	H ₂₇	0.91374
N ₁₄	1.62247	1.18049	1.29435	1.08141	H ₂₈	0.92262
					H ₂₉	0.90808
					H ₃₀	0.74215
					H ₃₁	0.86235
					H ₃₂	0.86737

ამგვარად, მოლეკულაში არის ორი პოტენციალურად ელექტრონოდონორული ატომი – O₁₂ და N₁₄, რის გამოც ის გვევლინება, როგორც ბიდენტატური ლიგანდი. ამის გამო, მას შეუძლია d-მეტალებთან წარმოქმნას კოორდინაციული ნაერთები ხუთწევრიანი ციკლის სახით (სქემა 4):




სქემა 4

რაც შეეხება აცეტონის 1-ადამანტოილ ჰიდრაზინის მოლეკულას (ნახ. 2), აზოტის ატომები (N₁₃ და N₁₄) სავალენტო კუთხეების მნიშვნელობების ($\angle C_{11}-N_{13}-N_{14} = 125.2^\circ$, $\angle C_{11}-N_{13}-H_{33} = 114.6^\circ$, $\angle N_{14}-N_{13}-H_{33} = 120.2^\circ$ და $\angle N_{13}-N_{14}-C_{15} = 121.7^\circ$) მიხედვით იმყოფებიან sp^2 ჰიბრიდიზებულ მდგომარეობაში. იგივე მდგომარეობაშია ნახშირბადის C₁₅ ატომიც ($\angle N_{14}-C_{15}-C_{16} = 126.8^\circ$, $\angle N_{14}-C_{15}-C_{17} = 118.9^\circ$, $\angle C_{16}-C_{15}-C_{17} = 114.3^\circ$), რომელიც აზოტის N₁₄ ატომთან ქმნის ორმაგ ბმას.

ატომებზე ფარდობითი მუხტების სიდიდეთა (ცხრილი 5) ანალიზი გვიჩვენებს, რომ პოტენციალურად ელექტრონოდონორულ ატომებს აქაც წარმოადგენენ O₁₂ ($q_{12} = -0.3585$), N₁₃ ($q_{13} = -0.3156$) და N₁₄ ($q_{14} = -0.0374$). ატომთა ორბიტალების ელექტრონული დასახლება (ცხრილი 6) გვიჩვენებს, რომ უანგბადის ატომის ერთ-ერთი ელექტრონული ნუკლი იმყოფება 2s-ორბიტალზე (ელექტრონული დასახლება 1.91635-ია) და მას შეუძლია მეტალის ატომთან σ-ბმის წარმოქმნა დონორულ-აქცეპტორული მექანიზმით. მიუხედავად N₁₃ ატომის ბევრად უფრო მაღალი უარყოფითი ფარდობითი მუხტისა, ვიდრე აქვს N₁₄ ატომს, მას არ შეუძლია მეტალის ატომთან σ-ბმის წარ-

მოქმნა დონორულ-აქცეპტორული მექანიზმით, რადგანაც ელექტრონული წყვილი იმყოფება ჰიბრიდიზაციის გარეშე დარჩენილ $2P_z$ ორბიტალზე (ელექტრონული და-სახლება 1.72317-ია). რაც შეეხება N_{14} ატომს, ელექტრონული წყვილი იმყოფება ერთ-ერთ ჰიბრიდულ sp^2 ორბიტალზე, რომელზეც ელექტრონული დასახლება 1.72500-ია და ამგვარად, მიღრეკილია ნარმოქმნას მეტალის ატომთან σ-ბმა დონორულ-აქცეპტორული მექანიზმით.



ნახაზი 2. აცეტონის 1-ადამანტოილ ჰიდრაზონის 3D მოდელი

ცხრილი 4.
ატომთაშორისი მანძილები (R_{ij})

ატომები, ij	R_{ij} , Å	ატომები, ij	R_{ij} , Å	ატომები, ij	R_{ij} , Å
C ₁ -C ₂	1.541	C ₅ -C ₉	1.525	C ₁₁ -O ₁₂	1.246
C ₁ -C ₆	1.531	C ₅ -H ₂₃	1.123	C ₁₁ -N ₁₃	1.407
C ₁ -C ₇	1.531	C ₆ -H ₂₄	1.118	N ₁₃ -N ₁₄	1.327
C ₁ -C ₁₁	1.523	C ₆ -H ₂₅	1.120	N ₁₃ -H ₃₃	1.009
C ₂ -C ₃	1.522	C ₇ -C ₁₀	1.527	N ₁₄ -C ₁₅	1.312
C ₂ -H ₁₈	1.120	C ₇ -H ₂₆	1.118	C ₁₅ -C ₁₆	1.496
C ₂ -H ₁₉	1.120	C ₇ -H ₂₇	1.120	C ₁₅ -C ₁₇	1.498
C ₃ -C ₄	1.525	C ₈ -C ₁₀	1.524	C ₁₆ -H ₃₄	1.119
C ₃ -C ₈	1.525	C ₈ -H ₂₈	1.120	C ₁₆ -H ₃₅	1.119
C ₃ -H ₂₀	1.123	C ₈ -H ₂₉	1.120	C ₁₆ -H ₃₆	1.117
C ₄ -C ₅	1.524	C ₉ -C ₁₀	1.525	C ₁₇ -H ₃₇	1.118
C ₄ -H ₂₁	1.120	C ₉ -H ₃₀	1.120	C ₁₇ -H ₃₈	1.117
C ₄ -H ₂₂	1.120	C ₉ -H ₃₁	1.120	C ₁₇ -H ₃₉	1.118
C ₅ -C ₆	1.526	C ₁₀ -H ₃₂	1.123		

ცხრილი 5.

ატომთა ფარდობითი მუხტი (q_i) და ელექტრონული სიმკვრივე [$q_i(d)$]


ატომი, i	ფარდობითი მუხტი, q_i	ელექტრონული სიმკვრივე, $q_i(d)$	ატომი, i	ფარდობითი მუხტი, q_i	ელექტრონული სიმკვრივე, $q_i(d)$
C ₁	-0.0347	4.0347	H ₂₁	0.0820	0.9180
C ₂	-0.1433	4.1433	H ₂₂	0.0807	0.9193
C ₃	-0.1015	4.1015	H ₂₃	0.0896	0.9104
C ₄	-0.1507	4.1507	H ₂₄	0.1032	0.8968
C ₅	-0.1004	4.1004	H ₂₅	0.0853	0.9147
C ₆	-0.1433	4.1433	H ₂₆	0.1040	0.8960
C ₇	-0.1432	4.1432	H ₂₇	0.0851	0.9149
C ₈	-0.1508	4.1508	H ₂₈	0.0820	0.9180
C ₉	-0.1494	4.1494	H ₂₉	0.0807	0.9193
C ₁₀	-0.1005	4.1005	H ₃₀	0.0803	0.9197
C ₁₁	0.3351	3.6649	H ₃₁	0.0830	0.9170
O ₁₂	-0.3585	6.3585	H ₃₂	0.0896	0.9104
N ₁₃	-0.3156	5.3156	H ₃₃	0.2186	0.7814
N ₁₄	-0.0374	5.0374	H ₃₄	0.0904	0.9096
C ₁₅	-0.1200	4.1200	H ₃₅	0.0885	0.9115
C ₁₆	-0.2142	4.2142	H ₃₆	0.0937	0.9063
C ₁₇	-0.1637	4.1637	H ₃₇	0.0870	0.9130
H ₁₈	0.0968	0.9032	H ₃₈	0.0966	0.9034
H ₁₉	0.0961	0.9039	H ₃₉	0.0869	0.9131
H ₂₀	0.0917	0.9083			

ცხრილი 6.

ატომთა ორბიტალების ელექტრონული დასახლება

ატომი	2s	2p _x	2p _y	2p _z	ატომი	1s
C ₁	1.20663	0.96887	0.87905	0.98018	H ₁₈	0.90322
C ₂	1.22522	0.91596	0.96096	1.04119	H ₁₉	0.90395
C ₃	1.21139	0.99621	0.94586	0.94803	H ₂₀	0.90827
C ₄	1.22233	0.94905	1.00375	0.97557	H ₂₁	0.91799
C ₅	1.21212	0.95425	0.95379	0.98021	H ₂₂	0.91927
C ₆	1.22342	1.01916	0.94786	0.95284	H ₂₃	0.91036
C ₇	1.22335	1.02020	0.94739	0.95225	H ₂₄	0.89684
C ₈	1.22230	0.94927	1.00381	0.97537	H ₂₅	0.91468
C ₉	1.22248	1.00374	0.98441	0.93876	H ₂₆	0.89595
C ₁₀	1.21216	0.95409	0.95404	0.98024	H ₂₇	0.91485
C ₁₁	1.23915	0.78488	0.91827	0.72259	H ₂₈	0.91801
O ₁₂	1.91635	1.53322	1.44607	1.46283	H ₂₉	0.91929
N ₁₃	1.47861	1.03813	1.07567	1.72317	H ₃₀	0.91974
N ₁₄	1.72500	0.94356	1.24480	1.12405	H ₃₁	0.91705
C ₁₅	1.24336	0.91225	0.94865	1.01575	H ₃₂	0.91041
C ₁₆	1.22073	1.03064	0.93838	1.02441	H ₃₃	0.78138
C ₁₇	1.21622	0.94667	0.98301	1.01778	H ₃₄	0.90958
					H ₃₅	0.91149
					H ₃₆	0.90630
					H ₃₇	0.91295
					H ₃₈	0.90336
					H ₃₉	0.91307

ამგვარად, მოლეკულაში არის ორი პოტენციალურად ელექტრონოდონო-რული ატომი – O₁₂ და N₁₄, რის გამოც ის გვევლინება როგორც ბიდენტატური ლიგანდი. ამის გამო მას შეუძლია d-მეტალებთან წარმოქმნას კოორდინაციული ნაერთები ხუთნევრიანი ციკლის სახით (სქემა 5):




სქემა 5

გამოთვლების შედეგები შეესაბამება მიღებული ნაერთების ინფრანიტელი სპექტრების მონაცემებს (ნახაზი 3, 4).


მართლაც, დასინთეზებული კომპლექსების და ადამანტან-1-კარბონმჟავის ჰიდრაზიდის შთანთქმის ინფრანიტელი სპექტრების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ორგანული ლიგანდის მოლეკულა მეტალების ცენტრალურ ატომებთან კოორდინირებულია კარბონილის ჯგუფის უანგბადატომისა და NH₂-ჯგუფის აზოტის ატომის მეშვეობით ციკლურ-ბიდენტატურად. კერძოდ, კომპლექსნაერთთა სპექტრებში კარბონილის ჯგუფის სავალენტო რხევის შესაბამისი შთანთქმის ზოლის შემცირება [Δv (C=O) ≈ 30-40 სმ⁻¹] თავისუფალ ლიგანდთან შედარებით მიუთითებს, რომ ორგანული ლიგანდი მეტალის ატომთან კოორდინირებულია კარბონილის უანგბადატომის მეშვეობით M←C=O. მეორე მხრივ, NH₂ ჯგუფის შესაბამისი შთანთქმის ზოლები [Δv(NH₂)≈120-200 სმ⁻¹] არაკოორდინირებულ ლიგანდთან შედარებით გადაწეულია გრძელტალლიან უბანში, რაც დამახასიათებელია NH₂→M ბმის ვალენტური რხევებისათვის.

ნაერთების ML₂(NO₃)₂ · kH₂O (k = 1, 2) ინ სპექტრებში ~1380-1538 სმ⁻¹ უბანში შეიმჩნევა ν_e(NO₃⁻) ჯგუფისათვის დამახასიათებელი ინტენსიური, ორ კომპონენტად გახლეჩილი შთანთქმის ზოლი, რაც საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ NO₃⁻ ჯგუფი უშუალოდ არის დაკავშირებული მეტალების ცენტრალურ ატომებთან და შესაბამის კომპლექსებს აქვთ ოქტაედრული აღნაგობა.

ნაერთების ML_mSO₄ · H₂O (m = 2, 3) ინ სპექტრებში ~1080-1110 სმ⁻¹ უბანში შეიმჩნევა ν_e(SO₄²⁻) ჯგუფისათვის დამახასიათებელი ინტენსიური, სინგლეტური შთანთქმის ზოლი. მეტალის ცენტრალური ატომის კოორდინაციული რიცხვი კომპლექსებში ML_mSO₄ · H₂O (M = Co, Ni) არის 6. შესაბამისად SO₄²⁻ ჯგუფები ამ კომპლექსებში შიგა სფერულ ჯგუფებს წარმოადგენენ. CdL₂SO₄ · H₂O-ში SO₄²⁻-ის შესაბამისი შთანთქმის ზოლი ძლიერად არის გახლეჩილი რამდენიმე კომპონენტად, რაც საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ SO₄²⁻-ჯგუფები ამ კომპლექსებში პირდაპირ უკავშირდებიან კადმიუმის ცენტრალურ ატომს.



ნახაზი 3. კოორდინაციული ნაერთის $\text{Ni}(\text{AdCONHNH}_2)_2(\text{NO}_3)_2 \cdot 2\text{H}_2\text{O}$ ინ სპექტრი



ნახაზი 4. კოორდინაციული ნაერთის $\text{Co}[\text{AdCONHNC(CH}_3)_2]_2\text{Cl}_2 \cdot 2\text{H}_2\text{O}$ ინ სპექტრი

ნაერთების $\text{ML}_2\text{Cl}_2 \cdot k\text{H}_2\text{O}$ ($k = 1, 2$) ინ სპექტრებში ~ 1070 - 1130 სმ $^{-1}$ უბანში შეიმჩნევა $v_e(\text{Cl}^-)$ ჯგუფისათვის დამახასიათებელი ინტენსიური შთანთქმის ზოლი.

ნაერთების $\text{ML}_2(\text{CH}_3\text{COO})_2 \cdot \text{H}_2\text{O}$ ინ სპექტრებში შეიმჩნევა CH_3COO^- ჯგუფისათვის დამახასიათებელი ინტენსიური შთანთქმის ზოლები: $v_e(\text{COO}^-) \approx \sim 1410$ - 1450 სმ $^{-1}$, $v_e(\text{CH}_3) \approx \sim 1235$ - 1335 სმ $^{-1}$, $v_e(\text{C-C}) \approx \sim 900$ - 960 სმ $^{-1}$.

ცხრილი 7.

ადამანტანშემცველი ჰიდრაზიდ-ჰიდრაზონული ლიგანდებისა და d-მეტალების ბაზაზე
მიღებული კოორდინაციული ნაერთების ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლები

№	ნივთიერება	შეფერილობა	ლლ. t., $^{\circ}\text{C}$	გამო-სავლ., %	λ_M^{**}	მეტალის შემცველობა, %	
						ნაპოვნია	გამო-თვლილია
1	$\text{CoL}^I_2\text{Cl}_2 \cdot 2\text{H}_2\text{O}$	ვარდისფერი	>260	84.4	87,6	10,04	10,63
2	$\text{NiL}^I_2\text{Cl}_2 \cdot 2\text{H}_2\text{O}$	ცისფერი	>260	87.2	75,3	10.12	10,65
3	$\text{CdL}^I_2\text{Cl}_2 \cdot 2\text{H}_2\text{O}$	თეთრი	>230	84.6	68,4	17,93	18,40
4	$\text{CuL}^I_2\text{Cl}_2$	მომწვანო	>260*	76.2	82,3	11,78	12,24
5	$\text{CoL}^I_2\text{SO}_4 \cdot \text{H}_2\text{O}$	ვარდისფერი	>260	83.2	85,2	10,00	10,41
6	$\text{NiL}^I_3\text{SO}_4 \cdot \text{H}_2\text{O}$	ცისფერი	>230*	64.6	69,3	7,38	7,70
7	$\text{CdL}^I_2\text{SO}_4 \cdot \text{H}_2\text{O}$	თეთრი	>300	78.4	73,5	17,87	18,24
8	$\text{CoL}^I_2(\text{NO}_3)_2 \cdot 2\text{H}_2\text{O}$	ვარდისფერი	>300	96.2	76,6	9,18	9,71
9	$\text{NiL}^I_2(\text{NO}_3)_2 \cdot \text{H}_2\text{O}$	ცისფერი	>230	96.2	83,3	9.56	10,01
10	$\text{CoL}^I_2(\text{CH}_3\text{COO})_2 \cdot \text{H}_2\text{O}$	ბორდოსფერი	>230	87.8	83,9	9,25	10,10
11	$\text{NiL}^I_2(\text{CH}_3\text{COO})_2 \cdot \text{H}_2\text{O}$	მწვანე	>230	92.2	64,7	9,64	10,11
12	$\text{CdL}^I_2(\text{CH}_3\text{COO})_2 \cdot 2\text{H}_2\text{O}$	თეთრი	>360	93.2	77,6	16,25	17,09
13	$\text{CoL}^{II}_2\text{Cl}_2 \cdot 2\text{H}_2\text{O}$	ვარდისფერი	>360*	69.4	64,6	8,93	9,29
14	$\text{NiL}^{II}_2(\text{NO}_3)_2 \cdot 2\text{H}_2\text{O}$	ცისფერი	>360*	55.1	66,9	8,50	8,58
15	$\text{CoL}^{II}_2\text{SO}_4 \cdot 2\text{H}_2\text{O}$	ვარდისფერი	>360*	92.4	65,3	8,00	8,94
16	$\text{NiL}^{II}_2(\text{CH}_3\text{COO})_2 \cdot 2\text{H}_2\text{O}$	ვარდისფერი	>360*	49.4	68,4	8,27	8,65

*) იშლება; $L^I = \text{AdCONHNH}_2$; $L^{II} = \text{AdCONHNC(CH}_3)_2$

**) λ_M განსაზღვრულია დმფ ხსნარში 25°C , 0.001M, S სმ 2 მოლი $^{-1}$

მიღებული კოორდინაციული ხსნარების მოლური ელექტროგამტარობა დიმეთილფორმამიდში იცვლება 64-87 S სმ 2 მოლი $^{-1}$ საზღვრებში, რაც შეესაბამება 1:1 ტიპის ელექტროლიტს [12].

კვლევის შედეგად დასინთეზებულია ზოგიერთი d-მეტალის ახალი კოორდინაციული ნაერთები ადამანტან-1-კარბონმჟავას ჰიდრაზიდის და აცეტონის 1-ადამანტოლ ჰიდრაზონის ბაზაზე. აღნიშნული სისტემები ძლიერი ფარმაკოფორმული ჯგუფების შემცველობის გამო წარმოადგენენ საინტერესო და პერსპექტიულ ობიექტებს ახალი ფართო სპექტრის მქონე ბიოაქტიური საშუალებების ძიებისათვის.

ლიტერატურა:

1. Морозов И.С., Петров В.И., Сергеева С.А. Фармакология адамантанов, Волгоград.: Волгоградская медицинская академия. 2001.
2. Арцимович Н.Г., Галушина Т.С., Фадеева Т.А. Адамантаны – лекарства XXI века. Int. J. Immunorehabilitation. 2000. T.2. 1.
3. Даниленко Г. И., Шабловская Е. А., Антонова Л. А., Гужкова С. В. Синтез и защитное действие производных фениладамантана в отношении вируса бешенства, Хим. фарм. журн., 1998.
4. Даниленко Г. И., Рыбалко С. П., Макамов Ю. Н., Баклан В. Ф., Гужкова С. В. Гидразиды адамантан-1-норборнан-2-карбоновой кислоты как ингибиторы вируса имму-

- но дефицита человека. Хим. фарм. журн., 2000, т. 34, 1.
5. Stetter H., Mayer J., Schwarz M., Wulff K. Beiträge zur Chemie der Adamantyl-(1) Derivate. Chem. Ber., 1960, 93.
 6. Манчошвили Р. И. Химия Гидразидокомплексов Металлов. М., Наука, 1996.
 7. Манчошвили Р.И., Лобжанидзе С.А., Цинцадзе Г.В. Координационные соединения металлов с ацилгидразонами ацетона. Нитратные и тиоцианатные производные. Сообщ. АН. Грузии, 1992, т. 145, 1.
 8. თოფურია ე., ცინცაძე მ., შარია ი., ცინცაძე გ., ბებია ნ. საქ. მეცნ. აკად. მაცნე, ქიმიის სერია, 2001, 27, 3-4.
 9. ცინცაძე მ., თოფურია ე., ცინცაძე გ., გელოვანი ნ., სხირტლაძე ლ., ლეჭავა ს., ბერეჟიანი მ. საქ. მეცნ. აკად. მაცნე, ქიმიის სერია, 2001, 27, 3-4.
 10. Michael J. S. Dewar, *Eve G. Zoebisch, Eamonn F. Healy, and James J. P. Stewart. J. Am. Chem. Soc. 1985, 107.
 11. Allinger N.L. Conformational analysis. 130. MM2. A hydrocarbon force field utilizing V1 and V2 torsional terms. J. Am. Chem. Soc. 1977, 99.
 12. Kukuskin I.I. Chemistry of Coordination Compounds. M.: Mir, 1985, p. 8.

QUANTUM-CHEMICAL INVESTIGATION OF HYDRAZIDE OF ADAMANTANE-1-CARBONIC ACID AND 1-ADAMANTOYL HYDRAZONE OF ACETONE AS LIGANDS OF COORDINATION COMPOUNDS OF d-METALS

N. Lekishvili¹, Z. Pachulia¹, Kh. Barbakadze¹, Q. Giorgadze¹, G. Tsintsadze²

¹*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

²*Georgian Technical University*

Summary

The target synthesis hydrazide of adamantane-1-carbonic acid and 1-adamantoyl hydrazone of acetone, as new coordination compounds on the basis of organic ligands and some d-metal salts has been carried out. By using model systems and semi-empirical quantum-chemical AM1method, energetical and geometrical parameters, effective charges and electronic density in adamantane containing hydrazide and hydrazone molecules have been calculated. Two potential electron donor atoms – oxygen atom of carbonyl group and nitrogen atom – have been exhibited, therefore, they are bidentate ligands and create coordination compounds with d-metals in the form of five-member cycle.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
Proceedings of Ivane Javakhishvili
Tbilisi State University
363, 2010

ანალიზური ქიმია და გარემოს ქიმია

ტრანსპარაციასი სატრანსპორტო დარეზების ეკოლოგიური
გდებობარეობის შეფასება საქართველოს ნივა-ხარაგაულის
რაიონის მონაკვეთზე

გ. ჩახაია, რ. დიაკონიძე, თ. სუპატაშვილი,¹ ფ. ლორთქიფანიძე, ნ. ლაბარტყავა¹
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველოს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი

სტატიაში განხილულია საქართველოს ტერიტორიაზე „ტრასეკას“ სა-
ტრანსპორტო დერეფნების ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება წიფა-
ხარაგაულის მონაკვეთზე.

ამ მიზნით ზემოაღნიშნული მონაკვეთის სარკინიგზო მაგისტრალზე,
მდ. ჩხერიმელას წყალშემკრებ აუზში, ჩატარებული იქნა საველე სამუ-
შაოები, აღებული იქნა წყლისა და ნიადაგის სინჯები მათი შემდგომი ლა-
ბორატორიული გამოკვლევისათვის.

სტატიაში მოცემულია ჩატარებული საველე და ლაბორატორიული
კვლევების ანალიზი და საკვლევი რეგიონის ეკოლოგიური მდგომარეობ-
ის შეფასება. წარმოდგენილია შესაბამისი რეკომენდაციები საკვლევი ტე-
რიტორიის ეკოლოგიური სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი სატრანსპორტო დერეფნების ეკოლო-
გიური კონიუნქტურის შეფასების მიზნით, ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გა-
მოცხადებულ კონკურსში გამარჯვებული საგრანტო პროექტის: „ტრასეკას დერე-
ფნები მთის ფერდობის მდგრადობის შეფასება და უზრუნველყოფის ღონისძიებები“¹
ფარგლებში, ტრანსკავკასიური სარკინიგზო მაგისტრალის წიფა-ხარაგაულის მონა-
კვეთზე, მდინარე ჩხერიმელას ხეობაში, განხორციელებული იქნა საველე და ლაბო-
რატორიული კვლევითი სამუშაოები.

როგორც ცნობილია, ზემოთ აღნიშნულ რეგიონში გადის ტრანსკავკასიური საავ-
ტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალები, რომლითაც აზის, მათ შორის, სამხრეთ
კავკასიის ქვეყნები შავი ზღვის სანაპირო ქალაქებისა და თურქეთის სახელმწიფოს

¹ აღნიშნული პროექტი განხორციელდა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური
ხელშეწყობით (გრანტი GNSF/ST07/8-275). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი
აზრი ეკუთნის ავტორს და შესაძლოა არ ასახავდეს საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდ-
ის შეხედულებებს.

გავლით დასავლეთ ევროპის ქვეყნებს უკავშირდება.

აღსანიშნავია, რომ რაგინდ მაქსიმალურადაც არ უნდა იყოს დაცული უსაფრთხოების ზომები, ტვირთების გადაზიდვისა და მგზავრთა გადაადგილების (გადაყვანის) დროს ეკოლოგიური რისკების ალბათობა მაინც არსებობს, რაც ადგილობრივი გარემოს დაბინძურების საწინდარია. ეს პრობლემები შეიძლება გამოწვეული იყოს ნავთობსადენების დაზიანებით, ან ნავთობპროდუქტებისა და სხვა შხამქიმიკატების ტრანსპორტირების (გადაზიდვის) შედეგად. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, მუდამ არსებობს გარემოს დაბინძურებისა და ეკოლოგიური პრობლემების წარმოშობის საფრთხე, რისთვისაც საჭიროა წინდაწინ ვიყოთ ინფორმირებული და დროულად შევძლოთ მოსალოდნელი ეკოლოგიური პრობლემების თავიდან აცილება, ან ამ პრობლემებით გამოწვეული ნეგატიური შედეგების შერბილება.

ეკოლოგიურ პრობლემებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია წყლისა და ნიადაგ-გრუნტების ხარისხის შენარჩუნება, მითუმეტეს, ისეთი მცირე მიწიანი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა. სწორედ წყლის ნაკადის მოძრაობის შედეგად ხდება დაბინძურებული ადგილების გადარეცხვა, მისი ტრანსპორტირება და ბუნებრივ გარემოში გავრცელება.

როგორც ცნობილი რუსი მეცნიერი, აკადემიკოსი ვერნადსკი აღნიშნავდა, ჩვენი პლანეტის არსებობის ისტორიაში წყალი ითვლება აუცილებელ და ძირითად კომპონენტად. არ არსებობს ბუნებრივი სხეული, რომელსაც ისეთი მნიშვნელობა ექნებოდა ყველაზე გრანდიოზული გეოლოგიური პროცესების ფორმირებაში, როგორც ეს ბუნებრივ წყალს აქვს. არ არსებობს დედამიწაზე ნივთიერება-მინერალი, თუ ცოცხალი სხეული, რომელიც წყალს არ შეიცავს [5]. ცნობილია, რომ წყლისა და ნიადაგების რესუსრების, მათი ხარისხისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების შენარჩუნებას უდიდესი ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა აქვს. რა თქმა უნდა, გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს. მისი ტერიტორია მნიშვნელოვნადაა გადატვირთული, როგორც ტრანსკავკასიური ენერგორესურსების გამტარი დერეფნებით, ისე ტრასეკას საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალებით. აქედან გამომდინარე, ეს რეგიონი ეკოლოგიური პრობლემების წარმოქმნის რისკის ზონაში მდებარეობს. ერთ-ერთი ასეთი რთული მონაკვეთია წითა-ხარაგაულის ტრასეკას სარკინიგზო მაგისტრალი მდინარე ჩხერიმელას ხეობაში. იმის გამო, რომ რეგიონის ეკოლოგიური პრობლემების შეფასებაში, როგორც ზემოთაა აღნიშნული, ერთ-ერთი ძირითადი პირობა წყლის რესურსებისა და ნიადაგ-გრუნტების ხარისხის დაცვაა, ჩვენი კვლევის მიზანს ზემოაღნიშნულ სარკინიგზო მონაკვეთზე, სწორედ ამ მახასიათებლების შესწავლა და შეფასება წარმოადგენს, რაც საშუალებას მოგვცემს მიღებული შედეგები განვაზოგადოთ და მიახლოებით შევაფასოთ მთლიანად ტრასეკას დერეფნის სა-

ქართველოს მონაკვეთის ეკოლოგიური მდგომარეობა.

წყლის ნაკადების (მდინარე, წყალსადინარი, დროებითი ხევი და სხვა) მიერ ტრანსპორტირებული (გამოტანილი) ხსნადი ქიმიური ნივთიერებების შესწავლა გარკვეულ წარმოდგენას იძლევა გარემოზე მისი ზემოქმედების შესაძლებლობაზე [3]. ჩადინებული ხსნადი ნივთიერებების შესაწავლას აქვს როგორც სამეცნიერო, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა მრავალი ეკოლოგიური პრობლემის გადაჭრის საქმეში, აგრეთვე, ნიადაგის ეროზის წინააღმდეგ მიმართული სხვადასხვა ლონისძიების განხორციელებაში [2].

საქართველოს ტერიტორიაზე ზედაპირული წყლების ქიმიური შემადგენლობის შესწავლა 1938 წელს საქართველოს ჰიდრომეტრიკამსახურის მიერ სტაციონალური დაკვირვებებით დაიწყო და მან საქართველოს ტერიტორიის გარკვეული ნაწილი მოიცვა. ძირითადად, დაკვირვებები მიმდინარეობდა საშუალო და დიდი წყალშემკრები ფართობების მქონე მდინარეებზე. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს შრომები [1; 4; 7; 8; 9], სადაც მოცემულია საქართველოს მრავალი მდინარის ჰიდროქიმიური მაჩვენებლები. სამწუხაროდ, ამ შრომებში ზემოაღნიშნული საკვლევი მონაკვეთისათვის ასეთი სახის დაკვირვებები არ შესრულებულა და, ამის გამო, ზედაპირული წყლების, ხარისხზე მასალები არ არსებობს. არსებული დეფიციტის შესავსებად, საკვლევი რეგიონის, წიფა-ხარაგაულის რკინიგზის მონაკვეთის გასწრივ, მდ. ჩხერიმელას რამდენიმე შენაკადის წყალშემკრებ აუზში მოვახდინეთ წყლისა და ნიადაგ-გრუნტების სინჯების აღება, შემდგომი ლაბორატორიული გამოკვლევებისათვის და მათი ფიზიკური და ქიმიური მახასიათლებების დადგენისათვის. სულ შერჩეული იქნა 5 მდინარე: (ტოზილასწყალი, ბლიხევი, სილილელე, ბარნალისწყალი და გორნება) ლაბორატორიული კვლევები განხორციელდა წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლაბორატორიებში. კვლევის შედეგები მოცემულია ცხრ. 1; 2. აქვე გვინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ერთჯერადი სინჯების აღებით შეუძლებელია ზემოაღნიშნული რეგიონის წყლისა და ნიადაგ-გრუნტების ქიმიური შედგენილობის დადგენა და შეფასება, მაგრამ მიღებული შედეგები, საქართველოს მდინარეების სხვა არსებულ მონაცემებთან შედარების საფუძველზე, საშუალებას მოგვცემს გარკვეული (ზოგადი) წარმოდგენა ვიქონიოთ ხსენებული რეგიონის წყლისა და ნიადაგ-გრუნტების ეკოქიმიურ შემადგენლობაზე.

როგორც ცხრ. 1-დან ჩანს, საკვლევი ტერიტორიის მდინარეები მცირედ მინერალიზებულია და კალციუმის ჯგუფის მეორე ტიპის წყლებს განეკუთვნება. დაბალი მინერალიზაციის გამო, მდინარეების წყლებს საკმაოდ დაბალი სიხისტე გააჩნია, pH ნორმის ფარგლებშია.

ზედაპირულ წყლებში ბიოგენური ნივთიერებები ყველაზე ვარიაბელურ კომპო-

ნენტებს განეკუთვნება. წყლის ქიმიური შედგენილობის განმსაზღვრელ მრავალრიცხოვან ფაქტორებს ემატება მძლავრი, სწრაფად მიმდინარე ბიოლოგიური და ბიოქიმიური ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ ბიოგენური ნივთიერებების შემცველობასა და რეჟიმს.

ჩვენი კვლევის ობიექტებში, ბიოგენური ნივთიერებებიდან, უმნიშვნელო რაოდენობით აღინიშნება ამონიუმის იონის არსებობა ($0,4 \text{ мგ/ლ}$). სხვა არაორგანული ფორმები არ არის აღმოჩენილი.

ასევე, დაბალია უანგვადობის მაჩვენებელი მდ. ტოზილასწყალის ხევისა და ბლიხევის წყლებში, რაც საერთოდ დამახასიათებელია საქართველოს ზედაპირული წყლებისათვის. გახსნილი ორგანული ნივთიერებების დეფიციტი აიხსნება საქართველოს ნიადაგებში ორგანული ნახშირბადის მცირე მარაგით.

დროის ხანგრძლივ მონაკვეთში ბუნებრივი და ანთროპოგენული ფაქტორების ცვალებადობის საერთო ტენდენციები (ზედაპირულ ჩამონადენში მყინვარის წყლების წილის შემცირება, რეგიონის ურბანიზაცია, ტექნოგენიზაცია, სოფლის მეურნეობის ქიმიზაცია და სხვა) აისახება ზედაპირულ წყლებში მთავარი იონების შემცველობაზე. ამიტომ, საკმაო ინტერესს წარმოადგენს მათი შემცველობის შიდაწლიური ცვალებადობა, რაც ჩვენი შემდგომი კვლევის ამოცანას წარმოადგენს.

მარილოვანი შედგენილობის მიხედვით, ანიონებში ჭარბობს კარბონატიონი (87%), კატიონებში კი – კალციუმი (57%).

წყლის ხარისხისა და მისი ვარგისიანობის შესაფასებლად გამოყენებულ იქნა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს (CEB) რეკომენდაციები [6]. როგორც მიღებული შედეგების ანალიზმა აჩვენა (ცხრ. 1, 2), საკვლევი რეგიონის მდინარეების წყლის ხარისხი CEB-ის რეკომენდაციების მიხედვით, პირველი კლასის წყლებს მიეკუთვნება. თუმცა, აუცილებლად გასათვალისწინებელია ის, რომ ლაპორატორიული კვლევები ჩატარებულია მხოლოდ და მხოლოდ ერთჯერადი სინჯების საფუძველზე, ამიტომაც ეს შეფასება, რა თქმა უნდა, მიახლოებითია. საკვლევი მდინარეების წყლები მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში არის დაბინძურებული ბიოგენური ნაერთებით, კერძოდ, ამონიუმის აზოტითა (NH_4^+) და ნიტრიტით (NO_2^-). ეს მაჩვენებლები აჭარბებს სასურველს და თითქმის მიახლოებულია ზღვრულ დასაშვებ სიდიდესთან.

ცხრილი 1.

მდინარეების წყლის ქიმიური ანალიზის შედეგები

Nº	სინჯის აღების ადგილი	სინჯის აღების თარიღი	ნელის ხარ- ჯი, Q მ/წმ ³	pH	საერ- თო სახის ტე, მგ/ლ	ჟანგ- ვა- დობა მგ/ლ	ანიონები, გ/ლ	კათონები, გ/ლ	საერთო მიწრა- ლიზა- ცია, გ/ლ	მშრა- ლი ნაშინი, გ/ლ	ბიოგენური ნაერიუმი, მგ/ლ	NH ₄ ⁺	NO ₂ ⁻	NO ₃ ⁻			
1	ტოზოლასწყალი შესართავთან	10.06.08	0.505	6.85	1.08	1.04	0.0014	0.0064	0.0732	0.0067	0.0136	0.0049	0.1062	0.1105	0.40	0.00	0.00
2	ბლიხევი შესართავთან	10.06.08	0.857	6.95	0.96	1.44	0.0036	0.0104	0.0488	0.0037	0.0120	0.0044	0.0829	0.0851	0.40	0.00	0.00
3	სილილელე შესართავთან	14.12.08	----	7.00	3.96	0.00	0.0028	0.0084	0.1074	0.0023	0.0232	0.0093	0.1534	0,1591	0.10	0.02	0.00
4	ბარნალისწყალი შესართავთან	14.12.08	0.0575	6.65	1.52	0.88	0.0028	0.0116	0.0830	0.0037	0.0176	0.0078	0.1265	0.1289	0.40	0.00	0.00
5	გორჩება შესართავთან	14.12.08	---	7.80	2.40	3.12	0.0050	0.0108	0.1513	0.0104	0.0392	0.0054	0.2221	0.2278	0.40	0.00	0.00

ცხრილი 2.

ნიადაგ-გრუნტების ქიმიური ანალიზის შედეგები

Nº	გრუნტის კლასი აღზღუდი	pH ნელი, გარილი	ანიონები გ/100გ		კათონები გ/100გ		სარიცხო მიწრალისაცავი ჩერია ნაშინი +105 გ/100გ	ბიოგენური ნაერთები გ/100გ	თაბაშირი გ/100გ	ორგანული გ/100გ	პრინციპი სუბსტრატი გ/100გ	პრინციპი სუბსტრატი გ/100გ							
			Cl ⁻	SO ₄ ²⁻	HCO ₃ ⁻	Na+K	Ca ²⁺	Mg ²⁺											
1	ტოზოლასწყალი შესართავთან	6.05 5.15	0.0018	0.0082	0.0097	0.0023	0.0044	0.0020	0.0284	0.0307	0.0033	0.0128	0.0096	0.70	0.0030	0.0032	0.38	0.66	1.64
2	ბლიხევი შესართავთან	6.05 4.90	0.0039	0.0128	0.0268	0.0028	0.0128	0.0007	0.0598	0.0645	0.0016	0.0004	0.0003	2.16	0.0122	0.0127	0.95	1.63	3.92

საკვლევი რეგიონის ნიადაგ-გრუნტების ქიმიური მახასიათებლების დასადგენ-ად, შესწავლილი იქნა მდინარეების – ტოზილასწყლის და ბლიხევის ხეობა. ნიმუშები აღებულია უშუალოდ მდინარის სიახლოვეს, ამიტომაც მასში მაღალია ქვიშის ფრაქციის შემადგენელი ნილი. აღებულ სინჯებში განსაზღვრულ იქნა მაკრო კომპონენტები (კარბონატები, სულფატები, ქლორიდები, ნატრიუმი, კალიუმი, კალციუმი, მაგნიუმი), ჰიდროსკოპიული წყალი, ნიტრატები, ფოსფატები, ჰუმუსი, თაბაშირი, აგრეთვე, მუავიანობა. ცხრ. 2.

მუავიანობის მაჩვენებელი განვსაზღვრეთ როგორც წყლით, ასევე მარილით,

კერძოდ, კალიუმის ქლორიდით. ეს უკანასკნელი (გაცვლითი მჟავიანობა) გვიჩვენებს მეტ მჟავიანობას და ამიტომ pH უფრო დაბალია, ვიდრე წყლით გამონაწურში. ჩვენს ნიმუშებში pH (წყლით) 6,05-ს უდრის, ხოლო მარილით გამონაწურში 4,90-5,15.

საერთოდ, ნიადაგის ფიზიკურ-ქიმიური და ბიოლოგიური თვისებებისათვის ყველაზე ხელსაყრელია ნეიტრალური და ოდნავ ტუტე რეაქცია.

ჰუმუსს დიდი მნიშვნელობა აქვს მცენარის ზრდა-განვითარებისათვის, რადგანაც ის დიდი რაოდენობით შეიცავს მცენარეებისათვის საჭირო საკვებ ნივთიერებას. მათგან, პირველ რიგში, აღსანიშნავია აზოტი, შემდეგ ფოსფორი და გოგირდი. აზოტი მასში წარმოდგენილია სხვადასხვა ცილოვანი ნივთიერებების სახით. ეს ნივთიერება მიკროორგანიზმების მოქმედებით იშლება და აზოტი გადადის მცენარისათვის შესა-თვისებელ ფორმებში. ასევე თავისუფლდება ჰუმუსიდან გოგირდმჟავა და ფოსფორ-მჟავა მარილები. ჰუმუსის მაქსიმალური შემცველობა ზედა ფენაში აღწევს 10-12%-ს (შავმიწა ნიადაგებში). ჩვენს სინჯებში ჰუმუსის შემცველობა მცირეა, განსაკუთრებით, ტოზილასწყლისა (0,66%) და ბლიხევის ხეობის (0,68%) სინჯებში.

საკვლევი მდინარეების ხეობის ნიადაგ-გრუნტების სინჯები ღარიბია ფოსფატებით. განსაკუთრებით ბლიხევისა და ტოზილასწყლის ხეობის გრუნტები (0,0003-0,0004 გ/100გ). ასევე მცირეა P_2O_5 -ის შემცველობაც.

საერთო აზოტი ორგანული აზოტისა და მინერალური აზოტის ჯამისაგან შედგება. ორგანული აზოტი ჰუმუსის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს და მის შემცველობაზეა დამოკიდებული. რაც მეტია ჰუმუსი, მით მეტია ორგანული აზოტის შემცველობა. იგი ჰუმუსის 6-8 %-ს შეადგენს. ნიადაგში არის მინერალური აზოტიც-ამონიაკის და ნიტრატების სახით, მაგრამ ამ აზოტის რაოდენობა ძალზედ მცირეა და საერთო აზოტის 1-2%-ს შეადგენს. საანალიზო სინჯებში ნიტრატების შემცველობა მცირეა (0,0016-0,0038 გ/100გ). ჰუმუსის შემცველობის გათვალისწინებით, (0,66-1,63%) საანალიზო ნიადაგებში ორგანული აზოტის შემცველობაც ძალზე მცირეა. ამიტომ, ეს ნიადაგები აზოტით ღარიბ ნიადაგებს განეკუთვნება.

რაც შეეხება ნიადაგების კარბონატულობას, იგი იცვლება 0,70-2,16%-ის ფარგლებში.

ნიადაგის წყლით გამონაწურის შედეგები გვიჩვენებს, რომ მასში მცირეა მაკროკომპონენტების შემცველობა. მშრალი ნაშთის შემცველობა იცვლება 0,0307-0,0645გ/100გ.

ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ საკვლევი რეგიონის მდინარეების წყალშემკრები აუზებისათვის წყლისა და ნიადაგ-გრუნტების ეკოქიმიური მაჩვენებლების ბუნებრივი (გენეზისური) ფონი, ისევე, როგორც საქართველოს ზედაპირული მტკნარი წყლების უმეტესობისა, დამაკმაყოფილებელი ხარისხისაა. ისინი მცირედ მინერა-

ლიზებულია და კარბონატული კლასის კალციუმის ჯგუფის მეორე ტიპის წყლებს განეკუთვნება. აღნიშნული რეგიონის მდინარეთა წყლის რესურსები, უმეტეს შემთხვევაში, ყოველგვარი გადამუშავების (ანდა, მარტივი გადამუშავების შედეგად) გარეშე შეიძლება გამოყენებული იყოს წყლით მომარაგების სხვადასხვა დანიშნულების მოხმარებისათვის. ზოგ შემთხვევაში ისინი მხოლოდ ბიოგენური ნაერთებითაა მცირედ დაბინძურებული და ამის მიზეზი ანთროპოგენული ფაქტორებია.

აქედან გამომდინარე, თუ გამოვრიცხავთ, ან შევამცირებთ ადამიანის მავნე ზემოქმედების მასშტაბებს ბუნებრივ გარემოზე და გავატარებთ გარემოს ეკოლოგიური პრობლემების საწინააღმდეგო სათანადო ღონისძიებებს, მაშინ შესაძლებელი იქნება საქართველოს ტრასეკას სატრანსპორტო დერეფნის ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვა და შენარჩუნება.

ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევითმა სამუშაოებმა საშუალება მოგვცა ტრასეკას სატრანსპორტო დერეფნის ეკოლოგიური უსაფრთხოების დასაცავად წარმოგვედგინა შემდეგი ღონისძიებები:

ტყვია – მას ძველქართულად „ტყვივსაც“ უწოდებენ. ტყვიას სხვანაირად, „ბრჟენის“ ან პრჟენის“ სახელითაც მოიხსენიებენ.

გოგირდი – ეტიმოლოგიურად დღესაც გაუშიფრავი რჩება. ის რომ ეს სახელწოდება ქართული წარმოშობისაა, ცალსახად მტკიცდება, თუნდაც, იმით, რომ არც ერთ უცხო ენაში ეს ელემენტი ამ სახელწოდებით არ მოიხსენიება (Sulfurum – ლათინურად), ძველქართველებს იქედან, რომ ესესხათ.

კალა – ერთადერთი ელემენტია, რომლის სახელწოდების შემოღება-გადმოტანას ქართულ მეტყველებაში „ნახევარკუნძულ მალაკას ქალაქის კალაპიდან“ ვარაუდობენ [11]. თუმცა ამ სახელწოდების რამდენიმე ტოპონიმია დაფიქსირებული საქართველოს ტერიტორიაზე, მათ შორის სოფელი – „კალა“ – სვანეთში. ახლა თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ძველი საქართველო, როგორც ასეთი, მარტო ამჟამინდელი ტერიტორიით არ შემოიფარგლებოდა, კაცს შეიძლება საფუძვლიანი ეჭვი გაუჩნდეს სახელწოდება „კალის“ უცხო ენიდან შემოტანა-ნასესხობის შესახებ.

პირიქით კი – რამდენიც გნებავთ! საყურადღებოა აღინიშნოს, რომ სხვა ხალხთა

ენებში, მათ შორის, შორეული ევროპული ქვეყნებისაც, აშკარად ვლინდება ზოგიერთი ელემენტის სახელწოდების ძველქართული წარმომავლობა. ეს ფაქტი ცალსახად მიანიშნებს იმაზე, რომ ძველი ქართველი ტომები, ვინც, საერთოდ, მეტალურგიის ჩასახვა-განვითარების ფუძემდებლებად მოიაზრებიან, კულტურულ-ტექნიკურად გაცილებით მაღლა იდგნენ მეზობელი და, ასე განსაჯეთ, დღევანდელი ევროპის მოსახლეობასთან შედარებითაც კი. ეს კი ბევრის მეტყველია.

მოდით, გავერკვეთ ამ საკითხებში. სხვანაირად, რომელ ელემენტთა სახელწოდებებზეა ლაპარაკი?

მეტალთაგან ადამიანმა სულ პირველად სამი ელემენტი აითვისა და გამოიყენა: ოქრო, ვერცხლი და სპილენძი. ეს უკანასკნელი გაცილებით მეტი რაოდენობითაა გავრცელებული ბუნებაში (როგორც თავისუფალი, ისე ნაერთების სახით), ვიდრე პირველი ორი. გარდა ამისა სპილენძს ის დადებითი თვისებაც აქვს, რომ – ადვილად ექვემდებარება დამუშავებას. მაგრამ მას გამოყენებითი-ტექნიკური თვალსაზრისით დიდი ნაკლიც გააჩნია, – მეტისმეტად რბილია. ამიტომ ხალასი სპილენძისაგან დამზადებული საგნები ადვილად დეფორმირდებიან, – სასოფლო-სამეურნეო იარაღი პირველი მოხმარებისთანავე ბლაგვდება. ამ უდაოდ დიდი ნაკლის გამოსწორებას ძველი ქართველი ტომები სპილენძისადმი ისეთი ელემენტების დამატება-შელლობით შეეცადნენ, რომელიც საგანს მეტ სისალესა და სიმაგრეს მიანიჭებდა. თავდაპირველად ასეთი აღმოჩნდა დარიშხანი, რომელმაც ძირითად მასას – სპილენძს ტექნიკური თვალსაზრისით რამდენიმე დადებითი თვისება შესძინა. ასე იქნა დაწყებულ-აღმოჩენილი ბრინჯაოს წარმოება ამ ექვსი ათასი წლის წინათ ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე.

როგორც აღვნიშნეთ, „ელემენტ სპილენძს“ მეგრულად ქვია „ლინჯ“ ანუ „ბლინჯ“. ირკვევა, რომ ამ მეტალის ქართული სახელწოდება დაედო საფუძვლად ბრინჯაოს-სპილენძისა და დარიშხანის შენადნობის საერთაშორისო სახელწოდებას: ირანულად ქვია „ბირინჯ“, ხოლო ევროპულ ენებზე – **Bronse**. ეს შენადნობი ასეთივე სახელწოდებითაა ცნობილი რუსულ ენაშიც, – **Бронза**.

რას მიგვანიშნებს ყოველივე ეს? არაფერს უცხოს და მიუღებელს, – ამტკიცებს იმას, რომ ძველმა ქართველმა ტომებმა პირველებმა შეიმუშავეს ბრინჯაოს წარმოების ტექნოლოგია მთელ მსოფლიოში და რომ ეს სახელწოდება გავრცელდა შემდეგ როგორც მეზობელ ქვეყნებში (ირანი), ისე შორეულ ევროპაშიც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენმა წინაპრებმა მოგვიანებით ბრინჯაოს წარმოება დაიწყეს სპილენძისა და სურმის, შემდეგ კი – სპილენძისა და კალის ურთიერთშედნობით, მაგრამ – ეს შედეგს არსებითად არ ცვლის.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მტკიცება მთელ ევროპაში მეტალურგიის ახლო

აღმოსავლეთიდან შეტანა-გავრცელების შესახებ, – ეს არ არის ვიღაცის ახირება, მით უმეტეს – ქართველი კაცისა, დიდმა რუსთაველმა ერთ სტრიქონში, რომ ჩაატია: „მაგრამ იტყვის ჩემი სჯობსო უცილობობს ვითა ჯორი“. ამ ფაქტს თვითონ მიუკერძოებელი მკვლევარებიც ცალსახად აღიარებენ [1-9]. „ამჟამად უკვე აღიარებულია, – წერს რ. ფორბსი [17], რომ მეტალურგია ჩანასახობრივ მდგომარეობაში აღმოსავლეთიდან ევროპაში შემოიჭრა ძვ.წ. აღრიცხვით 2500 წელს, დუნაის ველისა და ტრიას გავლით. ამ დროიდან, ერთდროულად, ცენტრალურ ევროპასა და უნგრეთში დაიწყო ბუნებრივი და გამოდნობილი სპილენძის ათვისება“, – და იქვე დასძენს, რომ „მეტალურგიამ ესპანეთში შეაღწია ზღვით არა უგვიანეს ძვ.წ. აღრიცხვით 2500 წლისა, რის შემდეგ ძვ.წ. აღრიცხვით 2400-2000 წელს ოქროს, ვერცხლსა და სპილენძს დიდი მასშტაბით ამუშავებდნენ ალომერიასა და ანდალუზიაში“ [17].

აქ კი შეიძლება თვით რ. ფორბსაც შეედავო, – ქიმიისა და მეტალურგიის ისტორიის ამ უნივერსალურ მკვლევარს. საქმე ის არის, რომ იგი ან არ იცნობს, საერთოდ, ან არსებით მნიშვნელობას არ აძლევს გამოჩენილი გერმანელი მეცნიერის – ჰუმბოლტდის კვლევის შედეგებს, რომელიც ამტკიცებს, რომ მთელი ხმელთაშუა ზღვის აუზი, ცხადია, პირინეის ნახევარკუნძულის ჩათვლით, ამ 4000-5000 წლის წინათ პროტოიბერებს ჰქონდათ დაკავებული, და რომ ისინი (პროტოიბერები) ითვლებიან მეტალურგიის ფუძემდებლებად მთელ მსოფლიოში. აქედან გამომდინარე, იმდროინდელ ესპანეთში მცხოვრებთა მიერ სხვა ხალხისაგან მეტალების წარმოების ხელოვნების გადაღება-ათვისება, უბრალოდ, რომ ვთქვათ აზრს კარგავს.

გ. კვირკველია [10] მსოფლიო მეტალურგიის ისტორიის გამოჩენილ მკვლევართა ნაშრომებზე დაყრდნობით მიგვანიშნებს, რომ ძველი პონტოს რაიონი უნდა ჩაითვალოს მეტალთა წარმოების ხელოვნების ჩასახვა-განვითარების ეპიცენტრად. აქედან გავრცელდა მეტალურგია არა მხოლოდ მეზობელ ქვეყნებში, არამედ ევროპაშიც. მის საილუსტრაციოდ მას მოჰყავს სპილენძის სპარსული სახელწოდების ეტიმოლოგია და არკვევს, რომ ამ ენაში სპილენძის აღმნიშვნელი ტერმინი „მეს“ უნდა მომდინარეობდეს მოსინიკების სატომო სახელიდან, და რომ იგი („მეს“) ამ უკანასკნელის – „mossinoeki შეკვეცილი mess ფორმაა“.

ა. ვულერსის ცნობით [19], ირანში დღესაც შემორჩენილია ტექნიკურ-ისტორიული თვალსაზრისით მეტად საინტერესო ტერმინი zubal/zurpal, რაც მეტალის ბურბუშელას ან ცხელი კვერვის შედეგად მეტალისაგან ჩამოკეკნილ ნაფოფს აღნიშნავს, – მეტალისა და მისი დაუანგული ფორმის ერთგვაროვან ნარევს. ამიტომ ხსენებული ინფორმაციის წყაროში სიტყვა „თუბალს“ უსათუოდ მოსდევს სპილენძის სპარსული სახელწოდება „მეს“. აი, ამ ფაქტზე დაყრდნობით გ. კვირკველია აღ-

ნიშნავს, რომ „ზემოთ აღნიშნული სპარსული ტერმინებს საფუძვლად დასდებია მელითონეობით სახელგანთქმული, უძველესი ქართველი მოდგმის ორი ტომის სახელწოდება. აქ პირველი სიტყვა „თუბალ“ იგივეა, რაც ქართული თუბალი, ხოლო „მეს“ კი მოსინიკების სატომო სახელწოდების შეკვეცილი ფორმა უნდა იყოს“.

ასეთი მკაფიო და არაორაზროვანი დასკვნა მეტისმეტად თამამ განაცხადად არ უნდა ჩაეთვალოს ქართველ ისტორიკოსს. თითქმის 70 წლით ადრე გერმანელი მეცნიერი ო. შრადერიც [9] მიანიშნებდა, რომ ევროპულ ენებში *messing*, *masssteing*, *mossondz* და სხვ. მოსინიკების სატომო სახელწოდებისგან მომდინარეობს. მაშასადამე, ევროპელი მეცნიერები თვითონ აღიარებენ ძველი ქართველი ტომების უეჭველ პრიორიტეტს მსოფლიო მეტალურგიის ჩასახვა-განვითარების საქმეში.

ამასთან დაკავშირებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბერძნულად სპილენძს „ქალკოს“ ანუ *chalkos* უწოდებენ. ფრანგი მეცნიერი რ. დიუსი თვლის, რომ ეს სახელწოდება ეტიმოლოგიურად უნდა მომდინარეობდეს ძველი ურარტუს მკვიდრთა ერთ-ერთი ტომის *klaldi* (ხალდი – ქალდი) სახელწოდებისგან, სადაც *kos* მიანიშნებს საგნის სადაურობის აღმნიშვნელ ბოლოსართს. მაშასადამე, ბერძნული სიტყვის – „ჩაიკოს“ ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ ხალდური ანუ ქალდური სპილენძი.

რ. დიუსის ასეთი დასკვნა, როგორც ირკვევა, სრულიადაც არ არის შემთხვევითი. საქმე ის არის, რომ ბერძნებმა რკინისა და ფოლადის წარმოებაც ძველი ქართველი ტომებისგან და, სახელდობრ, ხალიბებისგან ისწავლეს. აქედან გამომდინარე, ფოლადს ძველმა ბერძნებმა ხალიბების სახელწოდების მიხედვით „ხალვფს – ხალვდიკოს“ დაარქვეს. ასეთ დასკვნას აკეთებს გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი ივ. ჯავახიშვილიც [18].

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ არა მხოლოდ საბერძნეთში, არამედ ძველ მესოპოტამიაში და ეგვიპტეშიც მეტალებსა და შენადნობებს, ძირითადად, ქართული წარმომავლობის სახელწოდებები ჰქონდათ, რადგან იმ ქვეყნის ხალხებსაც, ბერძნების მსგავსად, ბრინჯაოსი და ხალასი მეტალის წარმოება ხალიბებისაგან უსწავლით. აქ სიტყვა „ხალასის“ ქვეშ „ქიმიურად სუფთა“ იგულისხმება, თუმცა ეს ცნება მეცნიერებისა და ტექნოლოგიის განვითარების კვალობაზე, მუდმივ ტრანსფორმაცია: განვითარებას განიცდის. ამის შესახებ ე. ბიბრა ჯერ კიდევ ამ 140 წლის წინათ წერდა [20]: „მიუხედავად იმისა, რომ ბერძნები წარმოადგენდნენ ყველაზე მეტად განვითარებულ არიელებს, სპილენძის შესახებ მათ არაფერი იცოდნენ. ეს ლითონი მათ სხვა ხალხისაგან შეითვისეს“. ასეთი დასკვნა მრავლის მეტყველია.

მეტალურგიის ჩასახვა-განვითარების საქმეში ძველ ქართველ ტომთა პრიორიტეტზე ისიც მიანიშნებს, რომ ქართვული ტომის – მოსინიკების სახელწოდებიდან

წარმოქმნილია ევროპული და, კერძოდ, გერმანული, ინგლისურ და სკანდინავიის სხვა ხალხთა ენებში გავრცელებული „თითბერის“ სახელწოდება.

რას წარმოადგენს, ზოგადად, თითბერი?

თითბერი, არსებითად, სხვადასხვა შედგენილობის მქონე შანადნობია – შეიცავს სხვადასხვა ელემენტებს სრულიად განსხვავებული პროპორცია-სტექიომეტრით. პირველ რიგში კი უნდა აღინიშნოს, რომ ყველა სახეობის თითბერის საფუძველს სპილენძი წარმოადგენს, – ამ უკანასკნელს შეაღლობენ სხვადასხვა ელემენტს, ცხადია, განსხვავებული მასური წილით. დღეისათვის ანსხვავებენ მარტივ და სპეციალურ თითბერს. ამ უკანასკნელის შემადგენლობაში, გარდა სპილენძისა და თუთიისა, შედის სხვა ელემენტებიც, როგორიცაა, მაგალითად, რკინა, ალუმინი, კალა და სილიციუმი. მათგან ამზადებენ საათის მექანიზმების ნაწილებს, კონდენსატორების მილებს და სხვ. თავდაპირველად კი თითბერს ძირითადად იღებენ სპილენძისა და თუთიის ბაზაზე, – ურთიერთშედნობით. იმის გამო, რომ ფერი ასეთნაირად მიღებული შენადნობისა – თითბერისა დიდად ემსგავსება ოქრო ფერს, მას (თითბერს) ადრიდანვე იყენებდნენ საიუველირო და დეკორატიულ ნაკეთობათა და-სამზადებლად, – ოქროს ნაკეთობათა მიბაძვით (ოქროს იმიტაცია) [21] და სხვა.

ძველ მეტალურგ ქართველებს ბრინჯაოსი და თითბერის ნაწარმები – საგნები არა მხოლოდ საკუთარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ესაჭიროებოდათ, არამედ უცხო ქვეყნებში გაპქონდათ საექსპორტოდ. ისიც არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ არც სხვა ქვეყნები დააკლებდნენ მცდელობას – პროტოიბერებისგან მოეპარათ ან, უბრალოდ, აეთვისებინათ მეტალების წარმოების საიდუმლოება. ამის შესახებ გარკვევით გვეუბნება ბ-ნი კონსტანტინე: „რვალით ხურონი“, „ლითონის მწრთობნი“ და მემაღაროენი ყოფილან ძველი კოლხები და იბერიელები ...

ძველ ბერძენ კოლონიზაციორებს, მოგზაურებსა და ვაჭრებს შინ მიჰქონდათ არა მარტო ნაყიდი, ნაძარცვი და ნაქურდალი, არამედ უცხო ტომთაგან ათვისებული იდე-ებიცა...

ჩვენს ხალხს არსებობაც არ შეეძლო, ტექნიკური უპირატესობა რომ არა ჰქონდა მის იარაღ-საჭურველს ...“

არქეოლოგიური და უძველესი წერილობითი წყაროებიდან აშკარად იკვეთება, რომ ქართველი ტომები და, უნინარეს ყოვლისა, მოსინიკები პირველნი დაეუფლენ წიაღისეული რესურსებიდან (ქალკოზინი, ქალკოპირიტი, მალაქიტი და სხვ.) ელემენტური სპილენძის წარმოების ტექნოლოგიას, ხოლო შემდეგ ამ უკანასკნელზე სხვა-დასხვა ელემენტის (ძირითადად, თუთიის ან კალის) შედნობით მიუღიათ სხვადასხვა დანიშნულების თითბერი. ფაქტობრივად ეს პროცესი აისახა კიდეც ევროპულ ენებში. მაგალითად, გერმანელები თითბერს უწოდებენ messianic-ს, ინგლისელი-საქსები

mästling-ს, ხოლო პოლონელები – mosiandz-ს. ასეთივე დასკვნას აკეთებს ჩვენი სასიქადულო ისტორიკოსი ივ. ჯავახიშვილიც. იგი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ისეთი უძველესი და მაღალი კულტურის ხალხს, როგორიც ბერძნებია, რკინისა და ფოლადის დამზადება ხალიბებისაგან გადაუღიათ, რაც აისახა კიდეც ამ ელემენტის ბერძნული სახელწოდების ქართულ წარმომავლობაში.

ზევით უკვე აღვნიშნეთ, რომ ელემენტთა ძველი ქართული სახელწოდებათაგან მხოლოდ კალას არ მიიჩნევენ ეტიმოლოგიურად ქართულს. სინამდვილეში მართლაც ასეა?

ლიტერატურაში [1] რ. ფორბსსა და ფრ. ენორგანს პირველებს დაუყენებიათ საკითხი კალის უძველსი სახელწოდების kassiteros (კასიტების ქვეყანა) კასიტების სატომო სახელისაგან წარმომავლობის შესახებ. მათი აზრით, სახელწოდება „კალა“ ერთერთი კავკასიური ენის კუთვნილებაა: ქართულად – კალა, ოსურად – kala, თურქულად – kalai, სომხურად – klajek და სხვ. მათგან მკვლევარები უპირატესობას უფრო ქართულს ანიჭებენ, თუმცა ამ მოსაზრებას საეჭვოდ ხდის გ. კვირკველია [10], რადგან თვლის, რომ „კავკასია, როგორც ცნობილია არცთუ ისე მდიდარია კალის საბადოებით. რაც შეეხება საქართველოს, ჩვენში არაა მიკვლეული კალის საბადოები ან ნაღვარევი კალა ისეთი რაოდენობით, რომელიც საკმარისი იქნებოდა თუნდაც პრიმიტიული მეტალურგიისათვის. ამიტომ საეჭვოა, რომ ეს ტერმინი კავკასიაში გაჩენილიყო“.

დიდი პატივისცემის მიუხედავად, არ შეიძლება გ. კვირკველიას დავეთანხმოთ ასეთ დასკვნა-შეფასებაში, უმთავრესად ორი მიზეზისა გამო:

1. აი, რას ვკითხულობთ ბევრი ქიმიკოს-ტექნოლოგისათვის კარგად ცნობილ სახელმძღვანელო წიგნში [22]: „Помимо этого имеется и прямое указание в архивных данных еще XVIII века на наличие в Грузии оловянных руд, приведенное в географии Вахушти. По этим данным в Тедзамском ущелье близ б. монастыря Ркони добывали олово“.

ამავე სახელმძღვანელოში დასახელებულია არა ერთი გამადნება, რომელიც შეიძლება გახდეს საფუძველი კალის წარმოებისა საქართველოში. და თუ დღეს ეს მეტალი საქართველოში არ ინარმოება, – ეს იმას სრულიადაც არ ნიშნავს, რომ უნინ მას ჩვენი წინაპრები ყურადღების გარეშე ტოვებდნენ, – არ ანარმოებდნენ.

2. როგორც ჩანს, ბატონ გიორგის (კვირკველიას) ძველი საქართველო, სამწუხაროდ, იმ ტერიტორიით წარმოედგინა, ახლა, რომ არის განფენილი. არადა, როგორც აღვნიშნეთ, პროტოიბერების სამკვიდრი ბრინჯაოს ხანაში, რომელთა შთამომავლებიც ქართველები არიან, მთელ ახლო აღმოსავლეთსა და ხმელთაშუა ზღვის აუზს მოიცავდა; და თუ დღეს მხოლოდღა კავკასიონს არიან შეყუულნი, – ეს მარტო ქართველების ბრალი არ არის!

ზემონათქვამიდან გამომდინარე, შეიძლება სავსებით გასაზიარებელი იყოს უც-

ხო მკვლევართა მოსაზრება ევროპულ ენებში ელემენტ კალის სახელწოდების კავკა-სიურ ენათგან მომდინარედ, თუნდაც ამას ივ. ჯავახიშვილიც ენინააღმდეგებოდეს [18]. საქმე ის არის, რომ კალას, თუთიასთან ერთად ჩვენი წინაპრები წარმატებით იყენებდნენ სპეციალური შენადნობის – თითბერის დასამზადებლად.


წინააღმდეგობრივია გ. კვირკველიას შეხედულება თუთიის შესახებაც. თავის მონოგრაფიაში [10] იგი წერს: „რაც შეეხება თუთიას, იგი არ არსებობს ბუნებრივ, ლითონურ მდგომარეობაში, თუმცა მინარევების სახით ფართოდაა გავრცელებულ. თუთიის მადნები ხშირად გვხვდება ტყვიის, ვერცხლის, სპილენძის, ანთიმონისა და დარიშხანის მადნებთან ერთად (ყველა ეს ელემენტი საქართველოს გამორჩეულ წიაღისეულ სიმდიდრეს წარმოადგენს – რ. გიგაური), ზოგჯერ კი კომპლექსური სახით. „ლითონური თუთია, – წერს რ. ფორბსი, – მიიღება შემდეგი წესით: პირველად თუთიის მადნისაგან გამოადნობენ თუთიის კარბონატს – calaminc (galmci, smitsonite), რომელიც ქმნის მძიმე კრისტალურ ნალექს მწვანე, ცისფერი, ყვითელი, ნაცრისფერი და ყავისფერი მინარევებით. ამის შემდეგ თუთიის კარბონატს ნახშირის შემწეობით შეუძლია აღდგეს ლითონურ თუთიად. ასეთი პროცესით, – წერს რ. ფორბსი, – თითბერს იღებენ პონტოს რაიონში მცხოვრები მეტალურგი ტომები – მოსინიკები“.

ამ შედეგებით პატარა ციტატაში რამდენიმე შეცდომაა გაპარული, ცხადია, ყველა უნებლიერ, მაგრამ მაინც შეცდომა. დავიწყოთ იმით, რომ ავტორი ციტატის დასაწყისში ასაბუთებს: „იგი არ არსებობს ბუნებრივ, ლითონურ მდგომარეობაში“, ხოლო ქვემოთ ამბობს: „თუთიის კარბონატი ნახშირის შემწეობით შეიძლება აღდგეს ლითონურ თუთიად“. ეს ორი წინადადება-დასკვნა, ბუნებრივია, ერთმანეთს გა-მორიცხავს და სრულ შეუსაბამობაშია სინამდვილესთან. პირველი წინადადებით, როგორც ჩანს, ავტორს სურს თქვას, რომ თუთია ბუნებაში თავისუფალი, ანუ ელე-მენტურ მდგომარეობაში, არ არსებობს, როგორც ეს დამახასიათებელია, მაგალითად ოქროსა და ვერცხლისათვის. ასეთ შემთხვევაში იგი, რასაკვირველია, მართალია, მაგრამ, თუ გ. კვირკველია ამტკიცებს, რომ თუთია არავის მიუღიაო „ბუნებრივ, ლითონურად მდგომარეობაში“, – ამ შემთხვევაში უსათუოდ დიდად სცდება, რადგან თითბერს – თუთიისა და სპილენძის შენადნობს – არამცთუ ჩვენი წინაპრები, არამედ დღესაც ვერავინ მიიღებდა.

ციტატის შუაში ავტორი ასაბუთებს, რომ „თუთიის მადნისაგან გამოადნობენ თუთიის კარბონატს“, – აქაც სრული გაუგებრობაა. როგორც ჩანს, იგი, ჩვენი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ვერ ერკვევა ქიმიურ ცნებათა არსში. საქმე ის არის, რომ არ შეიძლება თუთიის კარბონატი ($ZnCO_3$) „გამოადნო“, რომ არ მოხდეს თერმოლიზი თანახმად ტოლობისა:



მაშასადამე, ასეთ პირობებში გარდაქმნის საბოლოო პროცესებია თუთიის ოქ-
სიდი (ZnO – მყარი ფაზა) და ნახშირბადის დიოქსიდი (CO_2 – აირი). არადა, გ. კვირ-
კველია იქვე აღნიშნავს, რომ „გამოდნობის“ შედეგად სხვადასხვა ფერის თუთიის
კარბონატი მიიღება, რომელსაც, თურმე, ნახშირბადით აღადგენენ. აქაც სრული
გაუგებრობა-შეუსაბამობაა, – სინამდვილეში ნახშირით აღდგება არა ცინკის კარ-
ბონატი, არამედ ამ უკანასკნელის დაშლის პროცესი – თუთიის ოქსიდი:



როგორც ჩანს, ავტორი ზემოთ მოყვანილი ციტატის თარგმნისას ან ამახინჯებს
პირველწყაროს ქიმიური ცნებების უცოდინრობის გამო („გამოდნობის“ ნაცვლად იქ-
ნებ „გამდიდრება“ – ფლოტაცია უნდა ეთქვა), ან, ვინ იცის, იქნებ არც ფორბსმა იცო-
და მაინცდამაინც კარგად თუთიის წარმოების ტექნოლოგია და გ. კვირკველია მას
ზუსტად თარგმნის.

ასეა თუ ისე, თითბერის სახელწოდება ქართველი ტომებისგან რომ აქვთ
გადაღებულ-ათვისებული სხვა ხალხებს, მტკიცდება 6. მარრის [23] ეტიმოლოგიური
ძიებითაც. იგი წერს: „სპარსულში ეს სიტყვა შეთვისებულია ქართული ენა – კილო-
კავების საზოგადო სახელისაგან: სპილენძი სვანური – სპილენძ, მეგრული – ლინჯ,
სომხური – პლინძ, რაც ნიშნავს სპილენძს, სპირენძს, სპირეს ანუ ისპირის მადანს“.

რაც შეეხება სხვა ელემენტებს – ტყვიასა და ვერცხლს, საზღვარგარეთული
მეცნიერება მათ შესახებ უფრო საინტერესო მოსაზრებებს გამოთქვამს. რ. ფორბსი
[1] თვლის, რომ პირინეის ნახევარკუნძულზე მცხოვრები ხალიბები (ისინი, უწინარეს
ყოვლისა პროტოიბერებად უნდა მოვიაზროთ) თავდაპირველად ვერცხლს იღებენ
უაღრესად პრიმიტიულად: ტყეს წვავდნენ, რის შედეგადაც ტყვიის და ვერცხლის
შემცველი ქანების ტემპერატურა მაღლა იწევდა, და როდესაც ეს უკანასკნელი
მიაღწევდა დნობის ტემპერატურას, მეტალი იწყებდა ნაღვარევი სახით ჩამოდინებას.
გაცივების შემდეგ ასეთნაირად მიღებული მყარი მასა წარმოადგენდა ვერცხლისა და
ტყვიის შენადნობს.

ამ ინფორმაციაში თითქოსდა ყველაფერი ნათელი და გასაგებია, მაგრამ ბევრი რამ
მაინც მიუღებელია. საეჭვოდ მიგვაჩნია რომ ღია გრუნტზე ყოფილიყოს ამ ელემენტთა
შემცველი ისეთი მაღალი კონდიციის მინერალები, რომ მისგან უბრალო გაცხელებით
მეტალთა „ნაღვარევი“ ჩამოდენილიყოს. არც ტყის უბრალო წვა მოგვცემს ისეთ
ტემპერატურას, რომ ვერცხლი გამდნარიყოს ($t_{\text{დ}} = 960,5^{\circ}\text{C}$). სადაც, თვით რ. ფორბსაც
ეჭვი შეაქვს ამ ელემენტთა თავისუფალი სახით ასეთნაირად მიღება-წარმოებაში
ტექნოლოგიის მეტისმეტად პრიმიტიულობის გამო. სწორედ ამიტომ მონოგრაფიის
რამდენიმე გვერდის გამოტოვებით იგი კვლავ უბრუნდება ვერცხლის წარმოების

ეპიცენტრის ძიების საკითხს და, ეყრდნობა რა სტრაბონის ცნობას, ჰომეროსის მიერ Alybe-ს ქვეყნის „ვერცხლის წარმოების სამშობლოდ“ მიჩნევის შესახებ [1], დასაბუთებულად თვლის ხალიბთა გამორჩეულ წვლილს ვერცხლის წარმოების სრულყოფილი ტექნოლოგიის შემუშავების საქმეში. აქვე იგი სავსებით მხარს უჭერს Alybes „ხალიბთა ქვეყანასთან“ – chalybes-თან გაიგივების სტრაბონისეულ ვერსიას.

ამრიგად, ვერცხლისა და ტყვიის წარმოების ყველაზე რაციონალური ხერხის შემმუშავებელ-აღმომჩენად ძველი პონტოს რაიონის მკვიდრი – ხალიბები უნდა ჩაითვალოს.

კაცობრიობის განვითარების ბრინჯაოს ხანას „რკინის ეპოქა“ მოჰყვა. ამ ელე-მენტმა (რკინამ) ძირფესვიანად შეცვალა საზოგადოების არსებობის წესი და პი-რობები. ამიტომ უაღრესად დიდია მკვლევართა დაინტერესება ამ მეტალის წარ-სულისა და, მაშასადამე, დამორჩილების ეპიცენტრის დადგენის მიზნით. სხვანაირად რომ ვთქვათ, თუ დადგენილი იქნება ბრინჯაოსი და რკინის პირველწარმოების ადგი-ლი, ის ხალხი, ის ერი უნდა ჩაითვალოს შედარებით მაღალი ცივილიზაციის – რკინის ეპოქის ფუძემდებლად მთელ მსოფლიოში.

რკინის წარმოების დასაწყისად მიიჩნევენ ძვ.წ. XIV საუკუნეს. იმ პერიოდის მა-ლალი კულტურის ქვეყნების – ეგვიპტის, შუმერის, ჩინეთისა და ინდოეთის ნაცვლად თანამედროვე უცხოელ მეცნიერებს ხალიბები (ხალდები – ქალდები) მიაჩნიათ რკი-ნისა და ფოლადის პირველმწარმოებლებად მთელ მსოფლიოში [24]. რ. ფორბსს მოჰ-ყავს გერმანელი მკვლევარის ჰეინელჰერმის ციტატა: „ადამიანის მიერ დამზადე-ბული რკინის დაფოლადება, რომელმაც ცხადყო მისი უპირატესობა ბრინჯაოზე, აღმოჩენილი იქნა მცირე აზიაში, ხეთების იმპერიაში მცხოვრებ ხალიბურ-პონტურ-ხალდური მოდგმის ხალხების მიერ [17, გვ. 257] (ციტატა თარგმნილ-მოტანილია გ. კვირკველიას მონოგრაფიიდან). ამასვე ადასტურებს ლ. ეიჩისინიც [2], თუმცა ხალიბთა უძველესი საცხოვრებელი ადგილი – მდინარე ჰალისის აუზი – ლარიბი იყო საწარმოებლად ვარგისი რკინის მადნებით. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სი-მაგრის მისაცემად ხალიბები რკინას ამატებდნენ „რაღაც მიწას“, რაც, თანამედროვე გაგებით, სხვა არა არის რა, თუ არა მანგანუმი, რომელიც ქართულ რკინას გან-საკუთრებულ სიმტკიცეს ანიჭებდა. სრულიად განსხვავებული ტექნოლოგია ქონდათ შემუშავებული რკინის საწარმოებლად ინდოელებს. ასე რომ, ძველქართული და ინდოეთში გამოშვებული რკინა-ფოლადი ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდე-ბოდა შედგენილობა-თვისებებით. ეს კი შესაძლებლობას აძლევს თანამედროვე მკვლევარებს – ზღვარი გაავლონ ამ ორი ხალხის მიერ გამოშვებულ ნაწარმებში.

ამრიგად, ენეოლითისა და ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლების ქიმიური შემადგენლობა – წარმოების დროისა და ადგილის დადგენა ცალსახად ნათელყოს,

რომ ძველმა ქართველმა ტომებმა პირველებმა შეიმუშავეს მეტალების წარმოების ხელოვნება-ტექნოლოგია ადგილობრივი წიაღისეული რესურსების ბაზაზე. ისინი თავდაპირველად ბრინჯაოსაგან, შემდეგ კი – რკინა ფოლადისაგან ამზადებდნენ ფართო ასორტიმენტის საგნებს არა მხოლოდ საკუთარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, არამედ მეზობელ და შორეულ ქვეყნებში საექსპორტოდაც. ასე გავიდა მეტალთა ქართული სახელწოდებები უცხო ენებში, მათ შორის – ძველ საქართველოდან დიდად დაშორებულ ქვეყნებშიც კი.

ლიტერატურა:

1. R. forbes, Metallurgy in Antiquity, Leiden, 1950.
2. L. Aitchison, A. History of Metals, London, 1960.
3. H. Coglan, Notes on Prehistoric and early iron in the Old World, Oxford. 1956
4. W. Witter. Die älteste Erzgewinnung im nordisch-germanischen Lebenskreis, Leipzig, 1938, I, II.
5. A.Oldeberg, Metallteknik under Förbistorisk Tid, Lund, 1943.
6. St. Przeworski, Die Metallindustrie Anatoliens in der von 1500 bis 700 v. Chr. 1936.
7. J. Mellaart, Gatal Hüyük (A Neolithic Town in Anatolia), London, 1967.
8. E. Herzfeld, khattische und khaldische Bronzen, Wein, 1921.
9. O. Schrader, Sprechvergleichung und Urgeschichte, II, teil 1. Abschnitt. Die Metalle, Jena, 1906.
10. გ. კვირკველია. უცხოელი მეცნიერები უძველესი ქართველი ტომების მელითონების შესახებ. თბილისი საბჭოთა საქართველო, 1976.
11. ა. ჩხერიმელი. ქიმია საქართველოში ძველად. თბილისი: მეცნიერება, 1979.
12. ვახტანგ VI. წიგნი ზეთუბის შეზავებისა და ქიმიისა ქმნის, თბილისი: თსუ გამოცემლობა, 1981.
13. რ. გიგაური. დარიშხანის ვაგტანგ VI-ის დროინდელი სახელწოდების შესახებ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ჟურნალი „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ 7-9, 2001.
14. Л. А. Николаев. Общая и неорганическая химия. М.: Просвещение, 1974.
15. о. აბულაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბილისი, 1973.
16. გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბილისი. 1969.
17. R. Forbes. Studies in Ancient Technology, Leiden, 1964
18. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, მე-5 გამოცემა, 1960.
19. A. Wullers, Lexicon Persico-Latinum, I, 1885.
20. E. Bibra, Die Bronzen und kupferlegirungen der alten und ältesten Volken, Erlangen, 1869.
21. Н. Л. Глинка, Общая химия, М.: Химия, 1983.
22. Минеральные ресурсы ССР Грузии, Тифлис: Техника и Школа, 1933.
23. Н.Ч. Марр, Яфетические элементы в языках Армении, 1911.
24. A. person, Eisen und Eisenbereitung in der ältesten Zeit, 1933/34.
25. Г. Меликишвили, О некоторых наименованиях металлов в древневосточных и кавказских языках, Вестник Древн. истории, №4, М., 1968.
26. Сурьма. Под ред. С. М. Мельникова. М.: Металлургия, 1977.

27. მიხეილ ჭაბაშვილი. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., გამომცემლობა „განათლება“, 1973.
28. „სიტყვის კონა“ სულხან-საბა ორბელიანის ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.
29. არნოლდ ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართულ ენებში, თბილისი, 1942.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
Proceedings of Ivane Javakhishvili
Tbilisi State University
363, 2010

პერსონალია



ქართული ქიმიის კლასიკოსი

რ. სხილაძე, თ. წიგნივაძე, გ. ფიჩხაიძე²
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

²ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მიმდინარე წელს შესრულდა დიდი ქართველი მეცნიერის, პროფესორ აკაკი გა-
ხოვიძის დაბადებიდან 100 და გარდაცვალებიდან 45 წლისთავი.

პროფესორ აკაკი გახოვიძის მრავალმხრივი მოღვაწეობა თავდაუზოგავი მეც-
ნიერული, კულტურული და საზოგადოებრივი აქტიურობის სრულქმნილების
უმაღლესი ნიმუშია.

ნინამდებარე სტატია ეძღვნება პროფესორ აკაკი გახოვიძის ხსოვნას

პროფესორი ა. გახოვიძე ქართველ ქიმიკოსთა სკოლის ერთ-ერთი ყველაზე
თვალსაჩინო წარმომადგენელია. მაღალი თეორიული მომზადება, ექსპერიმენტის ჩა-
ტარების დიდოსტატობა, უჩვეულო მეცნიერული ალლო და ინტუიცია მას აძლევდა
იმის საშუალებას, რომ მის მიერ გავლილი სამეცნიერო-საკვლევი თუ პედაგოგიური
მოღვაწეობის გზაზე შთამომავლობისათვის დიდი და ნათელი კვალი დაეტოვებინა.

ა. გახოკიძის ფუნდამენტურმა გამოკვლევებმა საერთო აღიარება ჰქოვეს, მისი შრომები გამოქვეყნებულია და ვრცლადაა განხილული როგორც რუსეთის, ასევე საზღვარგარეთის მრავალ სპეციფიკურ ლიტერატურაში, მონოგრაფიაში და უმაღლესი სკოლების სახელმძღვანელოებში. შექმნილია სპეციალური პარაგრაფებიც სათაურით „გახოკიძის სინთეზი“, „დანილოვ-გახოკიძის მეთოდი“. ა. გახოკიძის გამოკვლევები საფუძვლად დაედო ჩვენი ქვეყნის მრავალი მეცნიერის საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციებს.

აკაკი გახიკიძე დაიბადა 1909 წლის 14 აგვისტოს სოფელ ზედა ხუნწში, მარტვილის რაიონში. სკოლაში სწავლის დროს გონიერი და მუყაითი მოსწავლე ყოფილა. 1924 წელს ნარმატებით (ფრიადზე) დამთავრა სოფლის შვიდწლიანი სასწავლებელი.

1924 წლის 18 აგვისტოს ა. გახოკიძე უკვე თბილისშია და პ. მელიქიშვილის სახელობის ქიმიურ ტექნიკურმში ჩარიცხვის შემდეგ დიდი მონდომებით შეუდგა სწავლას, კურსიდან კურსზე გადადიოდა მხოლოდ მაღალი აკადემიური მოსწრებით. 1928 წელს ბრწყინვალედ ამთავრებს ტექნიკურს და მუშაობას იწყებს ორთაჭალის საპნის ქარხანაში (შემდგომში ქიმიური კომბინატი). 1928 წელს აბარებს მისაღებ გამოცდებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე.

ა. გახოკიძე საქართველოში შაქრის ნარმოების საკითხებით ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დაინტერესებულა. აღსანიშნავია, რომ იმ დროისთვის, ყოფილ საბჭოთა კავშირში, შაქრის ნარმოების საკითხებთან დაკავშირებით ქ. კიევში ორი ინსტიტუტი ფუნქციონირებდა (ერთი სასწავლო, ხოლო მეორე სამეცნიერო-კვლევითი), რომელთა ხშირი სტუმარიც ყოფილა სტუდენტი ა. გახოკიძე.

ძალზე დიდი იყო მისი სურვილი საქართველოში შაქრის მნარმოებელი ქარხნის აშენებისა. მან ქ. კიევში დაამუშავა შაქრის ქარხნის პროექტი, რომელიც საქართველოში უნდა აშენებულიყო. აი, როგორ იგონებს ამ საკითხს ბატონი აკაკი: „აქვე შევადგინე და დავწერე ქარხნის პროექტი. შევადგინე 30 ნახაზი. მოხსენებითმა ბარათმა დაიკავა 400 გვ. თბილისში რომ ჩამოვედი, მას სრულიადაც არ დასჭირვებია შესწორება. კონსულტანტმა პროფ. ირ. ბურჯანაძემ გასინჯვის შემდეგ ხელი მოაწერა პროექტს საჯარო დაცვაზე. ამ პროექტის შედგენამ დიდი ცოდნა შემძინა“.

როდესაც ამ პროექტს გაცნობია ქ. კიევის შაქრის მნარმოებელი ქარხნის დირექტორი, ავტორისთვის აღფრთვანებით უთქვამს: „აი, თქვენში, აგარაში შაქრის ქარხნის მშენებლობა რომ იწყება, ამ თქვენი პროექტით უნდა შესრულდესო“.

1932 წლის 29 ივნისს ა. გახოკიძე ბრწყინვალედ იცავს საქართველოში შაქრის ნარმოების ქარხნის პროექტს და ანიჭებენ ინჟინერ-ტექნოლოგის წოდებას. ა. გახოკიძე ინსტიტუტის დამთავრებისას, როგორც ფრიადოსანი და წარჩინებული სტუდენტი, დატოვებულ იქნა ასპირანტურაში. 1932 წლის ოქტომბერში იგი უკვე ლე-

ნინგრადშია, სადაც მუშაობას აგრძელებს ორგანული ქიმიის ხაზით (ნახშირწყლების ქიმიაში) და მიამაგრეს ქიმიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფ. დანილოვს.

პროფ. ა. გახოკიძის მეცნიერ-ხელმძღვანელი, მასწავლებელი, აკადემიკოსი სტეფანე ნიკოლოზის-ძე დანილოვი აღზრდილი იყო რუს ქიმიკოსთა სახელოვან ტრადიციებზე, იყო მსოფლიოში აღიარებული რუსი ქიმიკოსის, აკადემიკოს ა. ე. ფავორსკის მოწაფე. ა. ფავორსკი კი, თავის მხრივ, გახლდათ ა. ბუტლეროვის მოწაფე. ბუტლეროვის, მენდელეევის, ბორდიონის (გედევანიშვილის) აღმზრდელი იყო ზინინი. ამგვარად, პროფ. ა. გახოკიძე წარმოადგენს მსოფლიო კორიფეულის (საიდანაც იწყება მეცნიერული ორგანული ქიმია) შთამომავალს: გახოკიძე ← დანილოვი ← ფავორსკი ← ბუტლეროვი ← ზინინი.

1935 წლის ნოემბერში ა. გახოკიძე ბრწყინვალედ იცავს საკანდიდატო დისერტაციას. ეს წელი ბატონი აკაკისათვის იმითაც იყო ალსანიშნავი, რომ პირველად გამოქვეყნდა მისი საკმაოდ ვრცელი ექსპერიმენტული ნაშრომი, გერმანულ ჟურნალში „Berichte der Deutschen Chemischen Gesellschaft“. ამ ნაშრომმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა ქიმიკოს მეცნიერთა შორის. მასში დამუშავებული მეთოდი შევიდა უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოებში „დანილოვ-გახოკიძის მეთოდის“ სახელწოდებით.

1936 წელს, 26 წლის ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი ბრუნდება საქართველოში და მუშაობას იწყებს დოცენტის თანამდებობაზე თბილისის ინდუსტრიალურ და ხე-ტყის გადამამუშავებელ ინსტიტუტში. 1937-1939 წ.წ. განაგებს კათედრას თბილისის სტომატოლოგიურ ინსტიტუტში. 1937 წლიდან მუშაობს თბილისის პედაგოგიურ სახელმწიფო ინსტიტუტში ჯერ დეკანად, ხოლო შემდეგ, გარდაცვალებამდე ქიმიის კათედრის გამგის თანამდებობაზე.

1946 წელს ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტში ა. გახოკიძე იცავს სადოქტორო დისერტაციას. იგი პირველი ქართველი ქიმიკოს-ორგანიკოსია, რომელმაც საბჭოთა პერიოდში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

1940-1947 წლებში ა. გახოკიძე მუშაობს (პედაგოგიურ მოღვაწეობასთან პარალელურად) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტში, ხოლო 1947-1950 წლებში თბილისის სამეცნიერო-კვლევით ქიმიურ-ფარმაცევტულ ინსტიტუტში.

პროფესორი აკაკი გახოკიძე ქართველ ქიმიკოსთა სკოლის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია. მაღალი თეორიული მომზადება, ექსპერიმენტის დიდოსტატობა, უჩვეულო მეცნიერული აღლო და ინტუიცია მას აძლევდა იმის საშუალებას, რომ მის მიერ გავლილ სამეცნიერო-კვლევითი თუ პედაგოგიური მოღვაწეობის გზაზე შთამომავლობისთვის დიდი და ნათელი კვალი დაეტოვებინა.

პროფ. ა. გახოკიძის ცხოვრებისეული კრედო მრავალმხრივია, მაგრამ არის მათ შორის გამორჩეული და განსაკუთრებული მნიშვნელობის, რომელიც იძლევა ამ დიდი

მეცნიერისა და მამულიშვილის შესახებ სრულ წარმოდგენას.


მათ შორის, ბატონი აკაკისათვის არ არსებობდა დიდი და პატარა საქმე ან საკითხი, იგი უწვრილმანესაც კი დიდი სინატიფით, უდიდესი მონდომებითა და მთელი გულისყურით ეკიდებოდა. მისთვის არ არსებობდა საკუთარი და სხვისი გასაკეთებელი. რომელ საქმესთანაც მას შეხება ჰქონდა, იგი კეთდებოდა დიდი ნიჭიერებით, სრულყოფილად და სკრუპულოზური სიზუსტით. მისთვის არ არსებობდა ძლიერი და სუსტი ახალგაზრდა, ახალგაზრდა იყო ადამიანი, რომლისთვისაც უნდა ესწავლებინა სპეციალობა და აღეზარდა ჩვენი ქვეყნის ღირსეული მოქალქე.


ბატონი აკაკი ბრძანდებოდა ის პიროვნება, რომლის ღვთისგან ბოძებულ ნიჭიერებას სრულ მორჩილებაში ჰქონდა სანერ-კალამი. ძალზე ძნელი იყო მის მიერ დაწერილ სამეცნიერო-ნაშრომში თუ საგაზეთო წერილში რაიმე შესწორების შეტანა. იგი თავის აზრებს გონების ქურაში ატარებდა, ანრთობდა და შემდეგ ლამაზი კალიგრაფიით ქაღალდზე ძერწავდა.

პროფ. ა.გახოკიძეს დიდი წვლილი მიუძღვის საბჭოთა კავშირში ნახშირწყლების ქიმიის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. ამ სფეროში მისმა ფუნდამენტურმა გამოკვლევებმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვა.

მან დაამუშავა დისაქარიდების სინთეზის ორიგინალური მეთოდი, რომლითაც შესაძლებელი გახდა მანამდე უცნობი ტიპის დისაქარიდების სინთეზი. ამ ტიპის ნაერთებმა დიდი ინტერესი გამოიწვია, რადგან მათ ამავე საკითხებზე მომუშავე საზღვარგარეთელი მეცნიერები ვერ იღებდნენ. ამ გამოკვლევების საფუძველზე ა. გახოკიძემ დაამტკიცა ტრეპალოზის, მალტოზისა და გენციობიოზის ტიპის (1,1-; 1,4- და 1,6- ბმების შემცველი) დისაქარიდების გარდა ახალი ტიპის (1,2- და 1,3- ბმების შემცველი) დისაქარიდების არსებობის შესაძლებლობა.

მაგალითისათვის მოგვყავს გლუკოზილ-2-გლუკოზისა (სოფოროზა, I) და გლუკოზილ-3-გლუკოზის (ლამინარიბიოზა, II) სინთეზის სქემები.





ა. გახოკიძემ იმავე მეთოდებით მიიღო სხავადასხვა მონოსაქარიდული ნაშთის შემცველი ამ ტიპის დისაქარიდები.


ამ გამოკვლევებიდან სამი ათეული წლის შემდეგ დამტკიცებულ იქნა, რომ ა. გახოკიძის მიერ აღმოჩენილი ახალი ტიპის ნაერთები (სოფოროზა, ნიგეროზა, ლამინარიბიოზა, ლამინარინი, ლეიკოზინი, სკლეროგლუკანი, ლენტინანი) ფართოდაა გავრცელებული ბუნებაში და მათ მაღალი ფიზიოლოგიური (იმუნოლოგიური, სიმსივნის საწინააღმდეგო და სხვ.) აქტივობა აქვთ. ამ ახალი კლასის ნახშირწყლების სინთეზის მეთოდები მსოფლიო სამეცნიერო ლიტერატურაში „გახოკიძის სინთეზის“ სახელწოდებითაა ცნობილი.

ამ ნაერთებმა დიდი გამოყენება ჰქოვა სამედიცინო და ბიოლოგიურ კვლევებში. ისინი ძვირადღირებულ ნივთიერებებს წარმოადგენენ და მათ ცნობილი ქიმიური კომპანიები აწარმოებენ. მაგალითად, ერთი კილოგრამი ლამინარიბიოზის ფასი რამდენიმე მილიონ დოლარს აღნევს.

ნახშირწყლების სფეროში გამოკვლევების შედეგად ა. გახოკიძემ დაამუშავა ოლიგოსაქარიდების სტრუქტურის განსაზღვრის ორიგინალური მეთოდიკა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ნახშირწყლების აგებულების დასადგენად. მეთოდი დაფუძნებულია საკვლევი მოლეკულის აღმდგენელი ნაწილის დაუანგვაზე დისაქარიდამდე, რომელიც ოზაზონს არ წარმოქმნის.


ა. გახოვიძემ ასევე პირველმა შეისწავლა ნახშირწყლების იზომერიზაცია თიხების (ასკანიტი, გუმბრინი) მონაწილეობით. ეს გამოკვლევები გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს ბუნებრივ ნაერთთა ქიმიური ევოლუციის თვალსაზრისით.

ა. გახოვიძემ დაამუშავა ჰიდროქსიმუზავების სინთეზის ახალი მეთოდი მის მიერ აღმოჩენილი ახალი რეაქციის – კეტონებისა და კარბონმუზავათა ეთერების კონდენსაციის – საფუძველზე, რომელიც გამოისახება შემდეგი სქემით:



ეს სამუშაოები ჩატარებულ იქნა ორმოციან ნლებში. მოგვიანებით, სამოციან ნლებში, იაპონელმა მეცნიერებმა ამ რეაქციის საფუძველზე განახორციელეს მთელი რიგი ასიმეტრიული სინთეზები, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სტერეოქიმიის საკითხების, კატალიზისა და ორგანულ რეაქციათა მექანიზმის კვლევაში.

ამ გამოკვლევების საფუძველზე პროფ. ა. გახოვიძემ წამოაყენა მცენარეებში ორგანულ მუზავათა წარმოქმნის ორიგინალური თეორია. რითაც უარყო მანამდე გაბოტონებული „დუღილის თეორია“. ამ თეორიის თანახმად, მაგალითად, ლიმონმუზავა გლუკოზიდან წარმოიქმნება შემდეგი სქემის თანახმად:



ეს სქემა დამტკიცებულ იქნა როგორც ქიმიური, ისე ბიოქიმიური სინთეზით. სხვა ორგანულ მუზავათა წარმოქმნა მიმდინარეობს აგრეთვე 5-კეტო-გლუკონის მუვისაგან. ამ დროს 5-კეტო-გლუკონის მუზავა იხლიჩება 4 და 5 ნახშირბადის ატომებს შორის.

პროფ. ა. გახოვიძე დიდ ყურადღებას უთმობდა სოფლის მეურნეობისა და წარმოების ნარჩენების გამოყენებას.

პროფ. ა. გახოვიძემ სიმინდის ნარჩენებიდან მიიღო ქსილოტრიოქსი-გლუტარის მუზავა, რომელსაც ტექნიკაში შეუძლია შეცვალოს ღვინის მუზავა. ქსილოტრიოქსი-

გლუტარის მუავასგან მან მიღო სხვადასხვა მეტალთა ხელატები. ამ სამუშაომ სა-
ფუძველი ჩაუყარა ბუნებრივ ნაერთთა უანგვის პროდუქტებისაგან ხელატების წარ-
მოებასა და სოფლის მეურნეობაში მათ საყოველთაო გამოყენებას.

პროფ. ა. გახოკიძემ საქართველოს სხვადასხვა რაიონებში მოზარდი თამბაქოს
ნარჩენებიდან გამოყო ლიმონმჟავა. დადგენილ იქნა, რომ ლაგოდეხის თამბაქოს
ნედლეული საშუალოდ შეიცავდა 6,37% ლიმონმჟავას, გაგრის რაიონში მოზარდი
კი – 4,71%-ს.

პროფ. ა. გახოკიძემ ტუნგის თესლის ნაჭუჭიდან გამოყო რუხი ყვითელი ფერის
პიგმენტი და დაადგინა მისი ემპირიული ფორმულა.


პროფ. ა. გახოკიძის მიერ შემუშავებული სამკურნალო საშუალებების გლიკოზი-
ლირების პრინციპი, რომელიც დაფუძნებულია უჯრედულ მემბრანებში ნახშირ-
ნყლოვანი ფრაგმენტების აქტიურ ტრანსპორტზე, წარმოადგენს მიზანმიმართული
მოქმედების ეფექტურ სამკურნალო პრეპარატთა შემქნის ახლებურ მიდგომას.

კლინიკურ ფარმაკოლოგიაში იმ პრეპარატების გამოყენებას, რომლებიც წყალ-
ში არ იხსნებიან, აქვთ დიდი ნაკლი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მათი მიღება შე-
საძლებელია მხოლოდ შინაგანი გზით ან გარეგანი ზემოქმედებით. აღნიშნული გარე-
მოება თავისთავად ძალიან ზღუდავს სამედიცინო პრაქტიკაში მათი გამოყენების შე-
საძლებლობას.

ნახშირნყლებთან კონდენსაციის შედეგად ა. გახოკიძემ შეძლო მიეღო წყალში
ხსნადი სტრეპტოციდი, ასპირინი და სხვა სამკურნალო საშუალებანი, რომლებსაც
წარმატებით იყენებენ სამედიცინო პრაქტიკაში. მან მიიღო აგრეთვე ხსნადი სახამე-
ბელი.


დიდია ბატონი აკაკის დამსახურება ვეტერინარულ პრაქტიკაში ჰელმინთოლო-
გიურ სამკურნალნამლო საშუალებათა მიღების საქმეში. განსაკუთრებით აღსანიშნა-
ვია რვა ახალი პრეპარატის მიღება, რომელთა შორის განსაკუთრებით აქტიური აღ-
მოჩნდა ჭიათურისა და რაჭის ბუნებრივ საბადოთა გადამუშავებით მიღებული მანგა-
ნუმისა და დარიშხანის შემცველი ნივთიერებები.

პროფ. ა. გახოკიძე უთმობდა რა დიდ ყურადღებას ბუნებრივ ნაერთა შესწავლის
საქმეს, მის მიერ დადგენილ იქნა ზოგიერთი გლიკოზიდისა და პიგმენტის აგებულება
და ამასთან, დაამუშავა მათი მიღების სინთეზის მეთოდები. მაგალითად, მცენარე
გლედიჩიადან, სხვადასხვა მუავებთან და გლიკოზიდებთან ერთად, გამოყო ახალი
პიგმენტები – აკრამერინი, ოლმელინი და 3-D-გლიკოზილეპიკატექინი, რომელთაც
შემდგომში დიდი გამოყენება ჰპოვეს მედიცინაში, როგორც საგულე და სიმსივნის სა-
ნინააღმდეგო საშუალებებმა.



აკრამერინი

ოლმელინი



3-D-გლუკოზილეპიკატექინი

აღფრთოვანებას იწვევს ის ფაქტი, რომ გასული საუკუნის 40-იან წლებში პროფ. ა. გახოკიძემ შესძლო ამ ურთულესი ბუნებრივი ნაერთების სრული სინთეზების ჩატარებას.

პროფესორმა ა. გახოკიძემ საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ნავთობის ქიმიურ კვლევას, რასაც შემდგომში დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის სამუშაოები მოჰყვა. მან შეისწავლა მირზაანის, სუფსისა და შირაქის ნავთობები. ამ მიმართულებით პირველი ნაშრომები მან გამოაქვეყნა 1941 წელს, რითაც, როგორც მეცნიერმა, თავისი წვლილი შეიტანა ქვეყნის ძლიერებასა და ახლად დაწყებულ მეორე მსოფლიო ომში წარმატების მიღწევაში.

1942 წელს ა. გახოკიძემ გამოთქვა ორიგინალური ჰიპოთეზა ნავთობის გენეზის-ის შესახებ. მან გვიჩვენა, რომ ნახშირნყლების ტრანსფორმაცია, მცენარეულ და ცხოველურ ორგანიზმებში ბიოქიმიური გარდაქმნების გარდა, შესაძლებელია გეოლოგიური მეტამორფოზითაც მიმდინარეობდეს. თავისი მოსაზრების დასამტკიცებლად მან პირველმა გამოიყენა ნახშირნყლების ქიმიაში მეტალორგანული სინთეზი და გლუკოზისაგან მიიღო ბენზინის კომპონენტი – იზოოქტანი.

ამ გამოკვლევას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ეძლევა მომავალში ენერგეტიკული დანიშნულების პროდუქტების მისაღებად. ნავთობის წარმოშობის გახოკიძისეული მოსაზრება 40 წლის შემდეგ ექსპერიმენტულად დაამტკიცეს კანადელმა მეცნიერებმა. აღმოჩენილია მიკროორგანიზმები, რომლებიც ბუნებაში ნახშირნყლებს ნავთობად გარდაქმნიან.

ჩვენ გვინდა აქვე ძალიან მოკლედ აღვნიშნოთ ბატონი აკაკის კიდევ ერთი დიდი საქმის მოთავეობა საქართველოში. საქმე ეხება დღემდე ნაკლებად ცნობილ ფაქტს.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ა. გახოკიძემ ქ. კიევის შაქრის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში წარჩინებით დაიცვა სადიპლომო ნაშრომი. ნაშრომში დამუშავებული პროექტი საფუძვლად დაედო საქართველოში პირველი შაქრის ქარხნის მშენებლობას აგარაში, რადგან აღნიშნული რეგიონის ჭარხალში შაქრის შემცველობა უფრო მეტი იყო, ვიდრე სხვა რეგიონებში მოზარდ ჭარხალში.

დიდია პროფ. ა. გახოკიძის დამსახურება ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების შექმნის საქმეში. მის კალამს ეკუთვნის ორგანული ქიმიის და ბიოლოგიური ქიმიის სახელმძღვანელოები, რომლებიც რამდენჯერმე იქნა გამოცემული. მის მიერ შედგენილი და გამოცემულია ლაბორატორიული პრაქტიკულები ქიმიის სხვადასხვა დარგში. ასევე გამოცემული აქვს ქიმიის სწავლების საკითხებთან დაკავშირებით მრავალი მეთოდური ხასიათის შრომა. აღსანიშნავია მისი მეცნიერულ-პოპულარული წიგნი „ქიმია ადამიანის სამსახურში“.

თავმდაბალი, ღრმა მოქალაქეობრივი შეგნების, კეთილშობილი ბუნების და ფენომენალური ნიჭის მეცნიერი, პროფ. აკაკი გახოკიძე იმ ჭეშმარიტ მამულიშვილთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც საქმით და მხოლოდ საქმით ემსახურებოდნენ ერს, იგი თავისი პიროვნული თვისებებით სამაგალითო იყო გარშემომყოფთათვის.

პროფ. ა. გახოკიძის სიცოცხლე მოულოდნელად შეწყდა [გარდაიცვალა 1964 წელს, 55 წლის ასაკში] იმ დროს, როდესაც იგი ჯერ კიდევ აღსავსე იყო ახალი მეცნიერული იდეებით, ახალი სამეცნიერო წამოწყებებით. ამ იდეების განხორციელება მას აღარ დასცალდა, მაგრამ ის, რისი შექმნაც მან მოასწრო, სამუდამოდ შევიდა ქართული და მსოფლიო მეცნიერების საგანძურში.

გამომცემლობის რედაქტორი **მაია ეჯიბია**
ნანა კაჭაბავა

გარეკანის დიზაინი **თინათინ ჩირინაშვილი**
კომპ. უზრუნველყოფა **ხათუთა ბადრიძე**

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14

14 Ilia Chavchavadze Avenue, Tbilisi 0179

Tel 995(32) 25 14 32

www.press.tsu.ge